პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42
ტელეფონი 10—49
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 181 (1036) სამშაბათი 12 აგვისტო 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 181 (1036)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ბულგარეთში სახელმწიფოებრივ გადატრიალებას მოელიან.

— პოლონეთში პარტიზანული რაზმების გამოსვლები გრძელდება.

— ინგლისმა უარი უთხრა რუმინეთს სესხის მიცემაზე.

— საბერძნეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის დაიდვა ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია ბულგარეთის წინააღმდეგ.

— რევოლიუციონური რაზმები ბულგარეთის საპორტო ქალაქს ემუქრებიან

— რეშტში (სპარსეთი) დააპატიმრეს რეაქციონერები.

სამშაბათს 12 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე შესდგება
საქართვ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა
თბილისის კომიტეტის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა
თბ. კომიტეტის მდივანი **რუბენი**

დაწესებულებათა გენერალური გაწმენდა

როგორც ჩვენი გაზეთის კვირის №-ში გამოქვეყნებულ ცნობიდანაც გაიგებდა მკითხველი, მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარიატთან არსებობს დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის გადამსინჯავი კომისია, რომელიც შესდგება ინსპექციის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის, ცეკას, პროფკავშირთა საბჭოს და საგანგებო კომისიის წარმომადგენლებისაგან.

ცენტრალური გამწმენდი კომისია კარგა ხანია რაც შეუდგა საქმეს: აგროვებს და ამუშავებს სათანადო მასალას; ზოგიერთ დაწესებულებებში დაარსებულია დამხმარე ქვეკომისიები; მაზრებში დაგზავნილია ინსტრუქციები გამწმენდი კომისიების შესადგენად და სხ.

ამრიგად, გაწმენდა ტარდება როგორც ცენტრში, თბილისში, ისე რესპუბლიკის მაზრებში, პროვინციაში.

გაწმენდა შეეხება საბჭოთა დაწესებულებებს, სამეურნეო ორგანოებს, კოოპერატივებს და სხვა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

რა მიზნებს ისახავს ეს გაწმენდა, რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება მისი ჩატარების დროს?

ცხადია, რომ სახელმწიფო აპარატის უფრო მეტი გაჯანსაღება, მისი მუშაობის უფრო მეტი შეფარდება მშრომელ მასსების მოთხოვნილებებთან—შეადგენს ჩვენს მიზანს.

ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია არა მარტო იმით, რომ ჩვენი დაწესებულებები შეადგენენ მუშაობის სწორ გეგმას და მეთოდებს.

თავის თავად იგულისხმება, რომ ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ არა ნაკლები და შეიძლება უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ სხედან ჩვენს დაწესებულებებში და როგორ ატარებენ ისინი საბჭოთა კანონებს, მუშურ-გლეხურ მთავრობის ღონისძიებებს.

შეიძლება კანონები საუცხოვო გქონდეთ, განკარგულებებიც მიზანშეწონილი გასცეთ, მაგრამ მათ ამსრულებლებმა ისე გადაამახინჯონ, რომ ყოველგვარი ფასი დაუკარგონ.

ჩვენი დაწესებულებები მეტ წილად ისევ სარგებლობენ ადამიანთა იმ მასალით, რომელიც მემკვიდრეობად გადმოგვეცა ძველი დროიდან. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით ახალი ტიპის მუშაკების საკმაო კადრის აღზრდა.

ძველმა „ჩინოვნიკებმა“ კი ჩვენს დაწესებულებებში გადმოიტანეს თავიანთი მოხელური ფსიქოლოგია, ტრადიციები, ჩვეულებანი, ბიუროკრატიული დამოკიდებულება საქმისადმი.

ბევრი ერივნენ მათ შორის ბოროტმოქმედი ელემენტებიც, რომელნიც „ხელსაყრელ შემთხვევებს“ არ გაუშვებდნენ ხელიდან ბნელი კომბინაციების ქსელის გასაბმელად, ხალხის ქონების „ჩასაჯიბავად“.

არა მცირე იყო ისეთების რიცხვიც, რომელნიც პირდაპირ მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. გულში ატარებდენ ოცნებას მისი დამხობის და ძველი დროის დაბრუნების შესახებ და ყოველმხრივ ხელს უშლიდენ მართვა-გამგეობის რიგიანად მოწყობას და სამეურნეო აღმშენებლობას.

ამიტომ, ჩვენ არა ერთხელ მოგვიხდენია საბჭოთა აპარატის პირადი შემადგენლობის შემოწმება და გაცხრილვა შეუფერებელ, არასასურველ ელემენტებისაგან.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი მუშაობის შედეგები თუმცა თვალსაჩინოა, მაგრამ მაინც არა სავსებით დამაკმაყოფილებელი.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში აქა-იქ ეხლაც არიან დარჩენილი არსებული წყობილებისათვის მიუღებელი ელემენტები—კონტრ-რევოლიუციონური ზრახვებით გამსჭვალულნი, ბოროტმოქმედების ჩამდენი და მისდამი განწყობილნი, ბიუროკრატიული სენით დაავადებულნი, მთხოვნელებისადმი უყურადღებოდ და უხეშად მომპყრობნი, საქმის უცოდინარნი; ისეთები, რომელნიც თავიანთი აზრით, განწყობილებით, ხასიათით, ყოფა-ქცევით არ ეგუებიან მუშურ-გლეხურ წყობილების ბუნებას.

აღსანიშნავია, რომ რომელიმე მაზრიდან თუ დაწესებულებიდან გაძევების შემდეგ, ბევრი მათგანი სხვაგან ახერხებდენ „შეძრომას“. ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული იყო ამის დამადასტურებელი ფაქტები.

ასეთი ხალხისაგან სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნან გამოხვეტილნი რკინის ცოცხით.

აქვე უნდა ავღნიშნოთ ერთი გარემოება. წმენდის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დაწესებულებათა თანამშრომლების პოლიტიკური მომზადებაც, უნდა იქნას შემოწმებული მათი პოლიტცოდნა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროიდან, სამ ნახევარ წლის განმავლობაში, მათ ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ საბჭოთა წყობილებას, რევოლიუციის და ჩვენი პარტიის ისტორიას, პოლიტიკურ საკითხებს და სხ.

თუ ვინმემ ეს არ მოიმოქმედა, ცხადია, იმიტომ, რომ ამაში არ იყო დაინტერესებული. ასეთი ელემენტები ჩვენ არ გამოგვადგებიან.

გაწმენდის წარმატებით დამთავრება მოითხოვს სერიოზულ და დაკვირვებულ მუშაობას. დაწესებულებათა თანამშრომლების წარსული და ეხლანდელი ვინაობის სრული და სწორი გამორკვევა ადვილი საქმე არ არის. აქ შესაძლებელია ბევრი რამ დაფარული დარჩეს, ან ვინმემ მოინდომოს პირადი ინტერესით ამა თუ იმ მოსამსახურის გაშავება.

მაგრამ გამწმენდი კომისიის შემადგენლობა და ის მუშაობა, რომელსაც იგი აწარმოებს, საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ეს საქმე სათანადოდ იქნება შესრულებული და დასახულ მიზანს სავსებით მივაღწევთ.

გაწმენდა უნდა ჩატარდეს ისე საფუძლიანად, რომ შემდეგში არ მოგვიხდეს ამ საკითხის კვლავ დაყენება.

მშრომელი მასსები უშუალოდ არიან დაინტერესებული დაწესებულებათა გაწმენდაში შეუსაბამ ელემენტებისგან; მათ უნდა მიიღონ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა და გაუწიონ ყოველგვარი დახმარება გამწმენდ კომისიებს.

გამოფხიზლების ნიშნები

(ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონგრესის გამო)

კომინტერნის და პროფინტერნის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის შესახებ თანდათან უფრო მეტ გამოძახილს პოულობს მსოფლიო მუშათა კლასში. ამავე დროს თანდათან უფრო აშკარა ხდება მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეთა გამცემლობა და მოღალატეობა მუშათა კლასის ინტერესებისადმი.

ყოველივე ეს ნათლად გამოჩნდა ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც გაიხსნა 8 აგვისტოს ქ. ჰამბურგში. ამ კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ტრანსპორტის მუშათა რევოლიუციონურ პროფკავშირების მიღებას საერთაშორისო გაერთიანებაში. ამასთანვე ერთად კონფერენციაზე მონაწილე დელეგაციების საკმაო ნაწილი მომხრეა საბჭოთა ქვეყნების ტრანსპორტის მუშათა კავშირის მიღებისა საერთაშორისო გაერთიანებაში.

ცხადია, რომ ეს ლტოლვა პროფკავშირების გაერთიანებისკენ თანდათან გაიზრდება და ამსტერდამის ინტერნაციონალი ადრე თუ გვიან იძულებული გახდება ანგარიში გაუწიოს მუშათა კლასის მოთხოვნილებებს და მიიღოს პროფინტერნის წინადადება პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის შესახებ მთელ მსოფლიოში.

აღსანიშნავია და მეტად საყურადღებოა ის განცხადებები. რომლითაც გამოვიდენ კონგრესზე ამსტერდამის პროფკავშირთა გაერთიანების და მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები ვილიამსი და ფიმმენი. როგორც ვიცით მეორე ინტერნაციონალი მხარს უჭერს დოუესის ცნობილ გეგმას გერმანიის დამონების შესახებ. კომუნისტური პარტიები კი. თავისთავად ცხადია, სასტიკ კამპანიას აწარმოებენ მის წინააღმდეგ.

ტრანსპორტის მუშათა კონგრესზე ამ გეგმის მშვენიერი დახასიათება მოგვცეს ინგლისის ტრანსპორტის მუშათა კავშირის გენერალურმა მდივანმა რობერტ ვილიამსმა და ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კავშირის მდივანმა ფიმმენმა.

ვილიამსი აცხადებს, რომ მეორე ინტერნაციონალის მიერ მოწონებული დოუესის გეგმა „იცავს ფინანსიური კაპიტალის ინტერესებს და იწვევს მასების გალატაკებას“. ვილიამსი იძულებულია დაგვიანებით მაინც აღიაროს ის ჭეშმარიტება, რომელსაც კომუნისტები თავიდანვე ამტკიცებდნენ და ის ტყუილად კვირობს, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადები „სავსებით უჭერენ მხარს დოუესის გეგმას“. ჩვენ არ გვიკვირს ეს, რადგანაც კარგათ ვიცით, რომ ვილიამსის თანამებრძოლებმა მეორე ინტერნაციონალიდან დიდი ხანია უღალატეს მუშათა კლასს და ერთგულათ ემსახურებიან მტაცებლურ ბურჟუაზიის ინტერესებს და აძლიერებენ, ძირს უმაგრებენ კაპიტალიზმს.

ამას უკანასკნელ დრომდე ვილიამსი, ფიმმენი და ძმანი მათნი ცილისწამებათ სთვლიდენ. დღეს კი ვილიამსზე უფრო გულწრფელი ფიმმენი ყველას გასაგონათ აცხადებს კონგრესზე, რომ „მუშათა მთავრობებმა უფრო ძლიერი გახადეს კაპიტალიზმი, ვიდრე ის წინათ იყო. ყველა სოციალისტური და ნახევრად სოციალისტური პარტიები წარმოადგენენ მხოლოდ შირმას, რომლის უკან ბანკირები, მრეწველები და აგრარიები აკეთებენ თავიანთ ბნელ საქმეებს“

საუკეთესო დახასიათებაა მსოფლიო მენშევიზმის! და ამ დახასიათებაა იძლევა რეფორმისტულ პროფკავშირების ერთი ბელადთაგანი და მით უფრო საგულისხმოა ის. მართლაც უკანასკნელი წლების გამოცდილებას, „მუშათა მთავრობების“ პოლიტიკის გაცნობას უნდა მოეხდინა გარდატეხა მეორე ინტერნაციონალის მიმდევარ მუშათა მასების საუკეთესო ნაწილში და თვით ხელმძღვანელ წრეებშიც.

ლონდონის კონფერენცია, რომელიც მოწვევის ინიციატივა მეორე ინტერნაციონალის ბელადს მაკდონალდს ეკუთვნის ხომ ფინანსიური კაპიტალის, ბანკირების სათამაშო ბურთად გადაიქცა.

როგორც ფიმმენი ამბობს „ლონდონის კონფერენციამ უნდა გაფანტოს ყოველგვარი ილიუზიები“.

კომინტერნის დროშის ქვეშ მებრძოლი მუშათა კლასი არავითარ ილიუზიებით არ იყო შეპყრობილი ლონდონის კონფერენციის მიმართ. ჩვენ მას ვუწოდებდით მსოფლიო იმპერიალისტთა ხროვას, რომლის დირიჟორობას მეორე ინტერნაციონალის ერთი ცნობილი ბელადთაგანი მაკდონალდი კისრულობდა თავის მოძმე სოციალ-შემთანხმებელთა სრული დასტურით და მოწონებით.

კონფერენციაზე აშკარათ გამოჩნდა ბანკირების ძლიერება, რომლის წინაშე ქედს იხრიან, როგორც მაკდონალდი და ერრიო, ისე მუშათა კლასის მოღალატე გერმანიის სოციალ-დემოკრატია.

დოუესის გეგმა მისაღებად იცნეს გერმანელ სოციალ-დემოკრატებმა, თუმცა ის არსებითად ლახავს გერმანიის ინტერესებს და ბანკირების უსაზღვრო ყვლეფის ობიექტად ხდის გერმანიის მუშათა კლასს.

როგორც ფიმმენი ამბობს: „დოუესის გეგმა ნაკარნახევია შიშით გერმანიის კონკურენციის წინაშე. მხოლოდ დაბრმავებულ ჯგუფებს შეუძლიათ მიესალმონ ამ გეგმას“. ფიმენი სცდილობს არ დარჩეს ამ „დაბრმავებულთა“ ჯგუფში. ნამდვილათ მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეთა სახით უფრო მოღალატეებთან და გამცემლებთან გვაქვს საქმე, ვიდრე „დაბრმავებულებთან“.

მსოფლიო მუშათა კლასი უკვე ერკვევა ამ გამცემლობაში და ამას სხვათაშორის ფიმენის გამოსვლაც ამტკიცებს.

მსოფლიო მუშათა კლასის რევოლიუციონურ ნაწილმა სულ ამ ერთი კვირის წინათ ჩატარებულ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებით დაამტკიცა, რომ ის იმპერიალისტურს ომს სამოქალაქო ომით უპასუხებს.

დღეს ფიმენიც მისაღებათ სცნობს ლენინის ფორმულას ომის შესახებ. თავის სიტყვის დასასრულში ფიმენი აცხადებს: „იმ შემთხვევაში თუ ომი დაიწყო მუშათა კლასმა უნდა გაუწიოს მას აქტიური წინააღმდეგობა, უნდა დაუპირდაპიროს იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომი“.

ცხადია, რომ მეორე ინტერნაციონალის მიმყოლ მუშათა კლასის ნაწილიც ითვისებს ჩვენს ლოზუნგებს, როგორც პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხში, ისე ომის საკითხში. ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონგრესი, მიუხედავათ იმისა, რომ ის მთლიანათ ვერ დასდგომია კომინტერნის გზას, ამის მაჩვენებელია.

ფიმმენის სიტყვით „მუშათა ბევრმა ლიდერებმა დაივიწყეს ყველაფერი და ვერაფერი ვერ ისწავლეს“. ჩვენ კი ვიტყვით, რომ მათ ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა კარგათ აქვთ შესწავლილი და მეტი სწავლა არც სჭირდებათ.

სამაგიეროთ მათ მიერ მოტყუებული მუშათა კლასი სწავლობს მწარე გამოცდილებით და თანდათან რწმუნდება კომინტერნის პოლიტიკის სისწორეში.

ს.

შენიშვნები

ჩვენი თეატრალური საქმეები

ჩვენ გვაინტერესებს აკადემიური თეატრების საკითხი მხოლოდ ერთი მხრივ. არ შევეხებით ჩვენი სათეატრო სამხატვრო პოლიტიკას, არც მომავალი თეატრალურ სეზონის გეგმის და მიმართულების დასახვას შეუდგებით, არც წარსული სეზონის შეფასებას იდეურ-მხატვრული მხრით.

ამ ჟამად ჩვენს ყურადღებას იქცევენ აკადემიური თეატრების სამეურნეო და ადმინისტრატიული მხარეები. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ იყო გასულ სეზონში, სახელმწიფო დიდძალ სუბსიდიას აძლევდა თეატრებს. გარდა ამისა კერძოდ საოპერო თეატრის შემოსავალი საკმაოდ დიდი იყო. ხოლო რამდენად მიზანშეწონილად და მომჭირნეობით იხარჯებოდა ამოდენა საშუალება, ეს ჩვენთვის არ არის ცხადი. ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „დაახლოვებითი ციფრები აკადემიური ოპერის შესახებ“ (№ 175), რომლიდანაც სჩანს, რომ ოპერაში დიდ ხელგაშლილობას და უთავბოლობას ჰქონია ადგილი. მიუხედავად საგრძნობი სუბსიდიისა და შემოსავლისა, ოპერის სეზონი „უსახსრობის“ გამო ადრე დაიხურა. საოპერო შემადგენლობა—მომღერლები, ხორო და ორკესტრი—უჯამაგიროთ დარჩა მომავალ სეზონამდე, ე. ი. ხუთი თვით. ოპერის შტატი ძალიან გაბერილი იყო. რამდენიმე ოპერის დადგმაზე დახარჯულ იქნა აუარებელი ფული, მაშინ როცა ეს ოპერები მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ განიმეორეს. „ავანსების“ და „სასეირნო ფულების“ გაცემაში გამოუჩენიათ შეუწყნარებელი სიუხვე.

არც აკადემიურ დრამის დირექციას ეტყობოდა მაინც და მაინც დიდი მომჭირნეობის უნარი.

ჩვენ არ ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, რომ დაუშვათ ასეთი ფუფუნება. ნათქვამია, ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო. ჩვენი ხარჯები უნდა შეუფარდოთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიურ შესაძლებლობათ. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ მომავალ სათეატრო სეზონში დაცული იქნება მეტი ეკონომია და ანგარიშიანობა.

დღეს კი ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ინსპექციამ მოახდინოს აკადემიური თეატრების გასული სეზონის სამეურნეო ნაწილის რევიზია, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მიზან-შეწონილად იყო დახარჯული სახელმწიფოს მიერ მათზე გაცემული ფული. ამასთან საჭიროა ინსპექციამ გამოიმუშაოს გეგმა მომავლისათვის თეატრების მეურნეობის ნორმალურ წარმოების,—ჩვენი რესურსებთან შეფარდებით. შესაძლებელია, ამისათვის აგრეთვე აუცილებელი გახდეს თეატრების პირადი შემადგენლობის გადასინჯვა და მმართველობის რეორგანიზაცია.

ხარჯების მაქსიმალური შემცირება—ასეთია ჩვენი ლოზუნგი დღეს. ეს ლოზუნგი უნდა განვახორციელოთ თეატრის სფეროშიც.

გ. ქ.

უცხოელები ჩვენი კოოპერაციის შესახებ

ამერიკის კოოპერატიულ ლიგის თავმჯდომარე ჩვენი კოოპერაციის შესახებ

მოსკოვი. 11 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის კოოპერატიული ლიგის თავმჯდომარე უერბასი, რომელმაც „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში მისი ჩამოსვლის მიზეზია კოოპერატიულ მოძრაობის შესწავლა და ისეთი ცნობების შეკრება, რომელიც სასარგებლო იქნება ამერიკის კოოპერატიულ მოძრაობისათვის. უკვე პირველ შთაბეჭდილებიდან გამოირკვა, რომ **საბჭოთა კოოპერაცია ძალიან ჩქარა ვითარდება და ასრულებს მნიშვნელოვან როლს მცხოვრებთა ფართო ფენებში.** საოცრად დიდ შედეგებს მიაღწია საბჭოთა კავშირში როგორც კოოპერატიულმა ვაჭრობამ, ისე კოოპერატიულმა წარმოებამ. ამასთანავე ერთიოდ საჭიროა აღინიშნოს ფართო კოოპერატიულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ძნელია გავიყვანოთ პარალელი საბჭოთა კავშირის და შეერთებულ შტატების კოოპერატიულ მოძრაობათა შორის, ვინაიდან იქ მუშაობა სწარმოებს სულ სხვაგვარ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში. ამერიკაში მსხვილი კაპიტალიზმი კონტროლს უწევს მთელ კომერციულ ცხოვრებას და ამერიკის კოოპერაციას უხდება ბრძოლა ამ ძლიერი მტრის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში კოოპერაციას მინიჭებული აქვს თავისუფალი განვითარების სრული შესაძლებლობა; კოოპერაცია აქ ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, უნერგავს მცხოვრებლებს თავისადმი შეგნებულ მოპყრობას და ჰქმნის პრაქტიკოს-კოოპერატორთა ახალ კადრებს. **ამერიკის კოოპერაციას სურს მეგობრული ურთიერთობა დაიჭიროს საბჭოთა კოოპერაციასთან და იმუშაოს მასთან შეთანხმებით საერთაშორისო კოოპერატიულ მოძრაობისათვის ხელისშეწყობად.**

შეთანხმება ინგლისთან

მუშათა პარტიისა და ლიბერალების წრეებში კმაყოფილნი არიან შეთანხმებით

რეაქციონერები კამპანიას აწარმოებენ მაკდონალდის წინააღმდეგ

გაზეთები შეთანხმებას საბჭოთა დიპლომატიის უდიდეს გამარჯვებათ სთვლიან

ოფიციალური ცნობა

საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან

ვინ აწერს ხელს ხელშეკრულებას

მოსკოვი. 11 აგვისტო. 8 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა ლონდონში **ამხ. რაკოვსკის, შეინმანის, იოფეს, ტომსკის და რადჩენკოს მიერ ერთი მხრით და მეორე მხრით მაკდონალდის და პონსონბის მიერ მეორე გენერალური ხელშეკრულება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.**

თემთა პალატამ 7 აგვისტოს სხდომაზე მიიღო დადგენილება ხელშეკრულებაზე დაუყონებლივ ხელისმოწერის შესახებ ისე, რომ ის შემდეგში გადაეცეს რატიფიკაციისათვის პარლამენტს.

ჩვენი მხრით ხელშეკრულება განხილული იქნება საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ცაკის მიერ. ხელშეკრულების სრული ტექსტი მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებული იქნება საყოველთაოდ.

შეთანხმება ოქტომბრის მონაპოვართა ცნობის საფუძველზე

8 აგვისტოს ხელშეკრულებით სრულდება ნაწილობრივი ფაქტიურ ურთიერთობათა პერიოდი ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. 1921 წელს ლონდონში მომხდარი შეთანხმება ინგლისთან ატარებდა მხოლოდ წინასწარ ხასიათს, ვიდრე დაიდებოდა ორთავე ქვეყნის მთავრობებს შორის ფორმალური საერთო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლითაც მოგვარებული იქნება მომავალში მათი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირის იურიდიულმა ცნობამ, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის დასაწყისში, ჰპოვა თავისი რეალური განხორციელება გენერალური ხელშეკრულების სახით. **ორი ეკონომიური სისტემის თანასწორუფლებიანობა, ურომლისოდაც შეუძლებელია მოწესრიგებული ურთიერთობის არსებობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის, აღიარებულ იქნა, როგორც საერთო პრინციპი, ჯერ კიდევ კანნის კონფერენციაზე 1922 წლის დასაწყისში.** მაგრამ ეს პრინციპი დღემდე ქაღალდზე რჩებოდა და მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც გავიდა კანნის კონფერენციის შემდეგ, საბჭოთა მთავრობისათვის წარდგენილი ყველა შეთანხმებანი ვალების და საკუთრების შესახებ გამოდიოდენ იმ მოსაზრებიდან, რომელიც გულისხმობდა ოქტომბრის რევოლიუციის ძირითად პრინციპების ლიკვიდაციას და მონურ ურთიერთობის შექმნას საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებისათვის. **ლონდონის გენერალური ხელშეკრულება გვაახლოვებს ჩვენ ნამდვილი შეთანხმების განხორციელებასთან ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის,—როგორც პოლიტიკური წესწყობილების და საზოგადოების ახალი ფორმის და სამეურნეო ურთიერთობის ახალი სისტემის ცნობის ნიადაგზე.**

ორივე მხარე დათმობაზე წავიდა

ხელშეკრულების დადების დროს ორივე მხარე წავიდა ნაწილობრივ დათმობაზე. საბჭოთა კავშირის მხრივ ეს მდგომარეობს იმაში, რომ **საბჭოთა მთავრობა, აცხადებს რა, რომ მსხვილი საკუთრების ნაციონალიზაციის და ვალების გაუქმების შესახებ არსებული დეკრეტები უცვლელად დარჩება ძალაში** თანახმაა მისცეს ნაწილობრივი დაკმაყოფილება ინგლისის მოქალაქეების გამონაკლისის სახით, იმ საერთო პრინციპიდან, რომელიც სავსებით ძალაში რჩება.

რა პირობით წავედით დათმობაზე.

ეს დათმობა ეძლევა მათ იმ აუცილებელი პირობით, რომ **ინგლისის მთავრობა აძლევს საბჭოთა კავშირს სესხის გარანტიებს ინგლისში; ამავე დროს ინგლისის პრეტენზიების დაკმაყოფილება ხდება იმ სესხის ხარჯზე, რომელსაც ღებულობს საბჭოთა კავშირი. სესხის დანარჩენი ნაწილი ხმარდება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენას.**

კონცესიების საკითხი.

კონცესიები, რომლებიც შეიძლება მიეცეს ნაციონალიზაციაქმნილი საკითხების ზოგიერთ ყოფილ მეპატრონეებს ურთიერთობის საბოლოოდ მოწესრიგების მიხედვით, ჩვენს მიერ დამყარებული იქნება წმინდა კომერციულ ანგარიშზე და **გაცემული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის რეალურ სარგებელს აძლევს საბჭოთა რესპუბლიკას.**

პრეტენზიების დაკმაყოფილება და სესხის საკითხი.

გენერალური ხელშეკრულება აწესებს პრინციპებს, რომლის მიხედვითაც გამორკვეული უნდა იქნეს ნაციონალიზაციაქმნილ საკუთრებათა და ინგლისელ კრედიტორების პრეტენზიების ჯამი. ინგლისის შეთანხმება ამ პრეტენზიების შესახებ **საბჭოთა კავშირისათვის სესხის გარანტიების კანონთან ერთად შეადგენს ერთს მთლიანსა და განუყოფელს.**

შეთანხმების მნიშვნელობა.

საბჭოთა მთავრობა ამ მოლაპარაკების დროს მტკიცედ დაიცავს საბჭოთა ხელისუფლების უფლებებს და ინტერესებს. გენერალური ხელშეკრულება საძირკველს უყრის ახალ ურთიერთობას საბჭოთა სახელმწიფოს და მსოფლიოს უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის.

ამიტომ ის წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს მოვლენას კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა რესპუბლიკის ურთიერთობის ისტორიაში და მით ჩვენი დროის საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაშიაც და გავლენას იქონიებს მთელი მსოფლიოს მდგომარეობაზე.

კაპიტალის ფრონტის გარღვევა

ლონდონის მაგალითი წაბაძვას გამოიწვევს

ბერლინი, 9 აგვისტო. „**ფრანკფურტერ ცეიტუნგ**“-ში მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება ინგლის საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას. წერილში აღნუსხულია საბჭოთა პოლიტიკის მთავარი პრინციპები, კერძოთ, მისი ცდა რათაც არ უნდა დაუჯდეს არ მისცეს საშუალება სხვა სახელმწიფოებს ერთიანი ფრონტით გამოვიდენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით საბჭოთა მოღვაწეები კმაყოფილი უნდა იყონ ლონდონში მიღწეულ გამარჯვებით. **ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადებით გაირღვევა მსოფლიო კაპიტალის ფრონტი, რომელსაც ასე უფრთხის საბჭოთა კავშირი. ლონდონის მაგალითი გადამდები სენივით იმოქმედებს სხვა სახელმწიფოებზედაც, რომელთაც დღემდის არ განუახლებიათ ოფიციალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ამერიკაც აღარ დარჩება დიდხანს განკერძოებული ამ საკითხში.**

პონსონბის განცხადება

ლონდონი, 10 აგვისტო. ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ „როსტას“ ლონდონელმა კორესპონდენტმა ისაუბრა პონსონბისთან, რომელმაც გადასცა კორესპონდენტს შემდეგი თავისი განცხადება გამოსაქვეყნებლად:

„**მე ძალიან კმაყოფილი და მოხარული ვარ იმის გამო, რომ მიღწეული იქნა შეთანხმება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.** მე ყოველთვის აღტაცებით ვუცქეროდი რუსეთის ხალხს და ვილტვოდი ორივე ხალხის მეგობრულ თანამშრომლობისაკენ. ჩემთვის, რომლისათვისაც ძალიან ძვირფასია ის, რომ მივიღე მონაწილეობა ნორმალურ მეგობრულ ურთიერთობის აღდგენაში, მჯერა, რომ **ჩვენი შეთანხმება სარგებლობას მოუტანს ორივე ქვეყანას და ხელს შეუწყობს ევროპის საერთო გაჯანსაღებას.** მინდა გულითადი მადლობა გადაუხადო რაკოვსკის იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ჩემდამი მთელი მოლაპარაკების განმავლობაში. ჩვენ ორივე დარწმუნებული ვართ, რომ ხელშეკრულება ხელს შეუწყობს საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებას“.

საუბარი ამხ. რაკოვსკისთან

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ინგლისის მუშების ზეგავლენით

ლონდონი 10 აგვისტო. ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, ამხ. რაკოვსკიმ, „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა რომ ორ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სისტემების ინტერესთა შეთანხმება წარმოუდგენელია დათმობათა გარეშე. ჩვენი დათმობანი გამოიხატა შემდეგ ორ მთავარ პრინციპში: **საბჭოთა კავშირის ძირითად კანონების შეურყევლობა და მუშათა და გლეხთა მასების აუტანელ გადასახადებით დატვირთვის დაუშვებლობა.** ჩვენი თანხმობა მოვახდინოთ სხვადასხვა პრეტენზიების ლიკვიდაცია გამოწვეულია არა მომჩივან პირების უფლებათა ფორმალური აღიარებით, არამედ ცდით განვამტკიცოთ პოლიტიკური ურთიერთობა ინგლისთან და მივიღოთ საშუალებანი მეურნეობის აღსადგენად. ამ მიზნით **ინგლისის მთავრობა თანახმაა მოგვცეს სესხის გარანტია ამის გამო ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ სესხი საუკეთესო პირობებში.**

სესხის რაოდენობა დამოკიდებულია ჩვენ ვალდებულებათა ჯამზე. ინგლისის პრესაში აღნიშნულია, **რომ სესხის რაოდენობა არ იქნება 300—400 მილიონ მანეთზე ნაკლები. ყოველ შემთხვევაში სესხის რაოდენობა მეტი იქნება ვალდებულებათა ჯამზე,** რაოდენობას და პირობებს ჩვენგან განვსაზღვრავთ მას შემდეგ, როცა **გამორკვეული იქნება ჯამი, რომელიც ჩვენ თანახმა ვართ გადავიხადოთ** პრეტენზიების სხვადასხვა კატეგორიების დასაკმაყოფილებლად. ეს საკითხები შევლენ მეორე ხელშეკრულებაში, რომელიც ალბად დადებული იქნება არა უადრეს ნოემბრისა.

კრედიტორებთან შეთანხმების მიღწევა არც ისე ადვილი იქნება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ **კრედიტორები, რომლებიც ორ არჩევანის წინაშე დგანან, ან არაფერი არ მიიღონ ან მიიღონ ის, რის მიცემაც ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ფინანსიურ მდგომარეობის მიხედვით, იძულებული იქნებიან შეგვითანხმდენ.**

ნაციონალიზაციაქმნილ საკუთრების საკითხში საბჭოთა მთავრობა მზადაა გამართოს მოლაპარაკება ყოფილ მესაკუთრეებთან, სამართლიან კომპენსაციის მიცემის მიზნით. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი პრეტენზიები უნდა იქნას დაკმაყოფილებული, გადაჭრილი იქნება სესხის აღებამდე. საკითხის გადაჭრა გაადვილდება შერეულ კომისიის შედგენით, რომლის ფუნქციებს შეადგენს საკითხის შესწავლა და თავიანთ მთავრობებისათვის ცალკე ანგარიშების წარდგენა. სავაჭრო ხელშეკრულების ძალით, ინგლისს ეძლევა უპირატესობის მქონე ერის უფლება სავაჭრო ნაოსნობის და საბაჟო ტარიფების საკითხებში, გარდა ტარიფებისა ჩვენ აღმოსავლეთის საზღვრებზე, თავის მხრივ **ინგლისი ავრცელებს ჩვენზე კანონს სავაჭრო შეღავათების და საექსპორტო კრედიტების შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს, მიუხედავად სესხისა და ვალების ლიკვიდაციისა, მიიღონ კრედიტები ჩვენმა ეკონომიურმა ორგანოებმა.**

თევზის ჭერის საკითხში შეთანხმების თანახმად ტერიტორიალურ წყლების 3-მილიანი ზონა რჩება ჩვენს განკარგულებაში. შემდეგ გემებს არ შეუძლია მიუახლოვდეს ჩვენ თევზის საჭერ გემებს ერთ მილზე უფრო ახლოს.

მუხლი პროპაგანდის შესახებ წარმოადგენს ჩვენს შარშანდელ ვალდებულებათა აღნუსხვას, რომელსაც ემატება ურთიერთშორის უფლების აღიარება მოაწყონ სახელმწიფოებრივი ცხოვრება საკუთარ ქვეყნის ფარგლებში თავიანთი შეხედულებისამებრ.

ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ საჭიროა ამოწურული იქნას კონფერენციის პროგრამა განიარაღების, საერთაშორისო მუშათა კანონმდებლობის, ბესარაბიის და აღმოსავლეთ გალიციის საკითხების განხილვით

სავაჭრო და საერთო ხელშეკრულებანი არ მოითხოვს პარლამენტის მიერ დამტკიცებას, საჭირო იქნება მხოლოდ მთავრობების რატიფიკაცია. ხელშეკრულება შეიცავს კრედიტორებთან შეთანხმების ოქმს და კანონპროექტის სესხის რაოდენობის და პირობების შესახებ. ოქმს **არ** ესაჭიროება პარლამენტის მიერ დამტკიცება, ხოლო კანონპროექტი სესხის შესახებ მოითხოვს პარლამენტის სანქციას. პარლამენტში გამართული გაცხარებული კამათი ჯერ კიდევ არ მოწმობს იმას, რომ უმრავლესობა მხარს დაუჭერს ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ პერსპექტივების შესახებ შეგვიძლია ვიქონიოთ წარმოდგენა იქიდან, თუ როგორი აღშფოთება გამოიწვია ხელშეკრულებამ ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის კონსერვატორების წრეში. ზედმეტია ლაპარაკი თეთრ გვარდიელთა პრესის შესახებ. **განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ხელშეკრულებას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მოლაპარაკებას მოჰყვა სასურველი შედეგი მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებაში ჩაერიენ ინგლისის პროლეტარიატის წარმომადგენლები.**

კამათი თემთა პალატაში

მაკ-ნეილის სიტყვა.

ლონდონი. 9 აგვისტო. კონსერვატორმა მაკ-ნეილმა, რომელიც გამოვიდა თემთა პალატაში პონსონბის მოხსენების გამო ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ, განაცხადა რომ 4 თვის დამქანცავმა მოლაპარაკებამ შედეგად მოგვცა მხოლოდ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსკოვის მთავრობა და ფასიანი ქაღალდების მეპატრონეები თანახმა არიან აწარმოვონ მოლაპარაკება. მაკ ნეილმა განაცხადა, რომ ყველაფერი ეს არაფერს წარმოადგენს, გარდა ფარსისა, სესხის უზრუნველყოფის დაპირება კი არის სკანდალი.

ლოიდ-ჯორჯის გამოსვლა

ლოიდ-ჯორჯმა, რომელიც გამოვიდა მაკ ნეილის შემდეგ, განაცხადა, რომ პონსონბის მიერ წარმოდგენილი არა სრული და არა საკმაო ინფორმაცია არ იძლევა მასალებს დისკუსიისათვის. **მთავრობის გადაწყვეტილებას ლოიდ-ჯორჯი სთვლის ფაქტად, რომელიც თავისი მნიშვნელობით აღემატება ინგლისის მთავრობის ყველა გადაწყვეტილებებს. არავითარი სარგებლობა არ იქნება, სთქვა ლოიდ-ჯორჯმა, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ პალატა არ ღებულობს ხელშეკრულებას, ვინაიდან** იმ ხელშეკრულების უარყოფა, რომელიც ხელმოწერილია მთავრობის მიერ, იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ის არ იყოს დამაკმაყოფილებელი, პარლამენტისათვის მეტად სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენს. ინგლისის ხელშეკრულებაზე ცნობები ცოტა იქნება გამოქვეყნებული. სამაგიეროდ მის შესახებ სრული ინფორმაცია იქნება რუსეთში და თუ სამი თვის შემდეგ ეს ხელშეკრულება გაუქმებული იქნება პარლამენტის მიერ, ეს იქნება გაგებული. როგორც უარის თქმა ინგლისის მთავრობის მიერ დადებულ პირობაზე“.

მუშათა პარტიის წარმომადგენლის სიტყვა

მუშათა პარტიის სახელით გამოვიდა მორელი, რომელმაც განაცხადა: როგორც იქნა **მოგვეცა საშუალება, რომ ბოლო მოგვეღო რუსეთთან ხანგრძლივი დავისათვის.** მორელს გაუგებრად მიაჩნია პოზიცია ლოიდ-ჯორჯის, რომელიც ილაშქრებს ხელშეკრულების წინააღმდეგ და ამავე დროს პრეტენზიებს აცხადებს რუსეთის ხალხის მეგობრობაზე **საბჭოთა მთავრობა, გარდა სხვა და სხვა თავდასხმებისა, იძულებული იყო გადაეტანა სამოქალაქო ომი, რომლის სულის ჩამდგმელი იყო ლოიდ-ჯორჯი.** პონსონბის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება: **ხელმოწერილი იქნეს ხელშეკრულება და შემდეგში გადაეცეს პარლამენტს რატიფიკაციისათვის.**

როგორ შეხვდნენ პონსონბის

ლონდონი. 9 აგვისტოს, პონსონბის, რომელიც გამოვიდა დეპუტატთა პალატაში ცნობების წარსადგენად მოლაპარაკების შესახებ, **მქუხარე ტაშის ცემით შეხვდნენ მუშათა პარტიის და ლიბერალების სკამებიდან.** კონსერვატორების უკმაყოფილების ხმებს მუშათა პარტიის დეპუტატები სასტიკად უპასუხებდნენ: „ხმა გაკმინდეთ“. რაკოვსკი, რომელიც იმყოფებოდა უცხოელთა გალერეიაში, დაესწრო პონსონბის მოხსენებას.

სამი საკითხი

თხები, რომელებიც იდგა საბჭოთა დელეგაციის წინაშე

სკოვი, 11 აგვისტო. საკითხები, ლებიც საბჭოთა დელეგაციის წი- იდგა იყოფა 3 კატეგორიათ: 1) ლიტიკური ხასიათის საკითხები მოსავლეთში საბჭოთა კავშირის და ინგლისის ურთიერთობის, ბესარაბიის, სრუტეების და სხ. საკითხები. 2) ეკონომიური, საერთაშორისო და ადმინისტრატიული ხასიათის საკითხები და 3) საკითხები პრეტენზიების და საბჭოთა კავშირის მიერ ინგლისში სესხის აღების შესახებ.

მოლაპარაკების დაწყებისთანავე გადაწყდა გადადებულიყო საკითხები მთავრობების შორის პრეტენზიების და საბჭოთა კავშირის კონტრ-პრეტენზიების შესახებ. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ინგლისის მთავრობა დასთანხმდა დასდოს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება მისი პრეტენზიების დაკმაყოფილების გარეშე და ამავე დროს საბჭოთა კავ- ის მთავრობაც თანახმა იყო გა- დო საკითხი კონტრ-პრეტენზიე- ს შესახებ.

ყველაზე სადაო აღმოჩნდა საკითხი ციონალიზაციაქმნილ კერძო საკუთ- ბის ყოფ. მეპატრონე ინგლისელების პრეტენზიების შესახებ. საბჭოთა დელეგაცია სცდილობდა გადაედო ეს საკითხები, მაშინ როდესაც ინგლისის დელეგაცია არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა, სანამ არ იქნებოდა მიღწეული რაიმე შედეგი ყოფილ კერძო მესაკუთრეთა საკითხში.

მთავრობა უდგებოდა კრედიტორების დაკმაყოფილების საკითხს ხელსაყრელ ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის თვალსაზრისით.

მხოლოდ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ კონფერენციის უკანასკნელ სტადიაში, ინგლისის მთავრო- ა დასთანხმდა **მიეღო თავის თავზე მ სესხის გარანტია, რომელსაც საბჭოთა მთავრობა გამოუშვებს ინგლისში მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შესრულებული იქნება მთელი რიგი პირობებისა.** სწორედ ეს პირობები გახდა უთანხმოების მთავარ მიზეზად მოლაპარაკების უკანასკნელ სტადიაში.

ყველაზე სადაო საკითხს კონფერენციაზე წარმოადგენდა საკითხი იმის შესახებ, მისცემდა თუ არა ინგლისის მთავრობა სესხის გარანტიას საბჭოთა კავშირს, სანამ წინასწარ არ იქნებოდა მოწესრიგებული საკითხი ყოფილ კერძო მესაკუთრეთა შესახებ. საბჭოთა დელეგაცია უკიდურესი დათმობის სახით წინადადებას იძლეოდა, რათა სესხის გარანტიის მინიჭების აუცილებელ პირობად ყოფილიყო მნიშვნელოვან პროგრესის მიღწევა საბჭოთა მთავრობის და კერძო მესაკუთრეთა მოლაპარაკებაში. ინგლისის დელეგაცია მოითხოვდა, რათა გარდა ამ საშუალებისა ყველა კერძო მესაკუთრე ინგლისელებისათვის ნავარაუდევ კომპენსაციის ჯამი შეთანხმებული ყოფილიყო ინგლისის მთავრობასთან. ეს ნიშნავდა გენუის და ჰააგის პრინციპის აღიარებას ყველა ყოფილ კერძო მესაკუთრე უცხოელების პრეტენზიების სავალდებულო დაკმაყოფილების შესახებ, რაც საბჭოთა კავშირისათვის ყოვლად მიუღებელია.

მოლაპარაკების შემდეგ შემუშავებული გენერალური ხელშეკრულება შეიცავს შეთანხმებას არა მარტო პრეტენზიების და სესხის დარგში, არამედ სხვა საკითხებშიც. მას დართული აქვს სავაჭრო ხელშეკრულებანი, ადმინისტრატიულ და ტეხნიკური ხასიათის ხელშეკრულებანი და შეთანხმება საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთის ტერიტორიალურ წყლების და თევზის ჭერის შესახებ.

ხელშეკრულების საბოლოო ტექსტს იმუშავებს სპეციალური სარედაქციო კომისია.

ინგლისის მუშები კმაყოფილი არიან

ნგლისის მუშები ესალმებიან ჩვენს წარმომადგენლებს

ლონდონი 9 აგვისტო. პრესა იტ- ბინება საბოლოო შეთანხმების ღწევის შესახებ. **სრულუფლებიან არმომადგენლობას აუარებელი მი- ხალმებელი დეპეშები და წერი- ები მოსდის.**

მუშათა წრეებში, თვით ზომიერებს შორისაც, აშკარად ამბობენ, რომ ეს არის საბჭოთა კავშირის და ნგლისის მუშების საერთო კლასო- ი გამარჯვება.

„დეილ-ჰერალდის“ წერილი

ლონდონი 11 აგვისტო. „დეილ ჰერალდ“ სწერს: „ინგლისის მუშათა კლასმა გაარკვია სადაო საკითხი ორთავე სახელმწიფოს შორის. ამ **ფურცელზე ჩაიწერება ურთიერთ დახმარების პირობა, მეგობრულ ურთიერთობისა და სავაჭრო დამოკიდებულების დროს,** რომელმაც დიდი სარგებლობა უნდა მოუტანოს ორივე ხალხს, დაამყაროს ახალი წესი და გაანთავისუფლოს ყველა ქვეყნის მუშები მონობისაგან“.

აკდონალდის მოწინააღმდეგ. კამპანია

ლონდონი, 11 აგვისტო. ინგლისის შათა მთავრობის მოწინააღმდეგენი ძილავენ ინგლის-საბჭოთა კავში- ის ხელშეკრულებას, როგორც ინ- ლისის დღევანდელ მთავრობის პირ- ლ ცდას „მოიხმაროს მართვა-გამგეობის სოციალისტური მეთოდები“. მაკდონალდის მტრები ხაზს უსვამენ, რომ **ხელშეკრულების დადებით მან დააკმაყოფილა თავისი პარტიის უკიდურესი ჯგუფები, რომლებიც თავის დროზე მოითხოვდენ, რათა ინგლისს დახმარება გაეწია საბჭოთა კავშირისათვის.** მაკდონალდი მოიქცა ისე, როგორც ის დაჰპირდა ხელისუფლების სათავეში ჩადგომის დროს. მან შეასრულა თავისი სიტყვა, რომ მიაღწევს შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან.

„ეჭვს გარეშეა,—აცხადებენ მაკდონალდის მოწინააღმდეგენი,—საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმება ახალ ხმებს მისცემს მუშათა მთავრობას უკიდურეს რადიკალების წრიდან, განსაკუთრებით შოტლანდიაში“.

პრესა შეთანხმების შესახებ

„ამერიკა წაბაძავს იგლისის მაგალითს“.

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. ცნობამ ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შესახებ ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე გამოიწვია მეფის სესხების ობლიგაციების კურსის აწევა. „ნიუ-იორკის“ საფინანსო განყოფილების რედაქტორი აღნიშნავს ამ გარემოებას და ამბობს, რომ ეს აიხსნება იმით, რომ შეერთებული შტატები წაბაძავენ ინგლისის მაგალითს და აღადგენენ სავაჭრო ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან.

ერრიოს ურჩევენ შეუთანხმდეს საბჭოთა კავშირს.

პარიზი 9 აგვისტო. ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება დიდ ინტერეს იწვევს საფრანგეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ წრეებში. მემარცხენე პრესა აღნიშნავს, რომ გარდატეხა მოლაპარაკების მიმდინარეობაში გამოწვეულია მუშათა წრეების ზეგავლენით მაკდონალდზე.

მემარჯვენე პრესა ამტკიცებს, რომ მაკდონალდს შეეშინდა მისი ადგილი **არ დაეჭირა ერრიოს, რომელმაც, ვითომდა დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთაკავშირთან.**

საერთოდ გამოსთქვამენ აზრს, რომ **საფრანგეთმა უნდა მიიღოს მხედველობაში ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების გამოცდილება.**

საინტერესოა აღნიშნოს, რომ „ტანი“ გაკვირვებულია ლოიდ-ჯორჯის, ხორნის და კერზონის გამოსვლით იმ ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც გაზეთის აზრით უფრო ხელსაყრელია ინგლისისათვის, გიდრე ის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია დასახელებულ პირების მიერ.

პოლონეთის პრესა სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა.

ვარშავა, 9 აგვისტო. ცნობას ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ სიხარულით შეხვდა პოლონეთის პრესა. „რეჩ პოსპოლიტა“ აჩქარდა და ყველა გარემოებათა გამორკვევამდე გამოაქვეყნა წერილი მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ. ღამით მიღებული იყო ახალი ცნობა საერთო, გენერალურ ხელშეკრულების ხელის მოწერის შესახებ. პოლონეთის პრესას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. **ბევრმა გაზეთებმა მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ მოთავსებულ საზეიმო წერილის გვერდით გამოაქვეყნეს ცნობა სავაჭრო ხელშეკრულების ხელისმოწერის შესახებ.**

ლონდონის პრესის აზრი.

ლონდონი, 10 აგვისტო. ლონდონის ბურჟუაზიული გაზეთების მეტი ნაწილი დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით.

ყველაზე უფრო სასტიკად გამოდის კონსერვატიული **„მორნინგ პოსტ“,** რომელმაც თავი დაახწია წინანდელ ჩუმ განცვიფრებას და სასტიკად გაილაშქრა ხელშეკრულების წინააღმდეგ. გაზეთი სხვათა შორის სწერს:

„საბჭოთა მთავრობის მიერ აშკარად დასახულ მიზანს წარმოადგენს ცივილიზაციის დანგრევა. ამ დანგრევის გეგმაში ბრიტანეთის იმპერიის დაშლას პირველი ადგილი უჭირავს. საბჭოთა ტირანია არ სცნობს არავითარ ვალდებულებებს და განაგრძნობს ფარული ომის წარმოებას ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ საძაგელ საშუალებების შემწეობით“.

მეორე კონსერვატიული გაზეთი უფრო ზომიერად ილაშქრებს, მაგრამ მაინც ხელშეკრულებას უწოდებს ფანტასტიურსა და განუხორციელებელ დოკუმენტს.

ლიბერალური **„დეილი ექსპრეს“** არ უკეთებს კომენტარიებს ხელშეკრულებას, მაგრამ განსაკუთრებულ ადგილს ათავსებს წერილს, რომელიც **ოპტიმისტურად ახასიათებს ეხლანდელ მდგომარეობას და საბჭოთა კავშირის მომავალ შესაძლებლობას.**

დანარჩენ ლიბერალურ გაზეთების პოზიცია შეიძლება დახასიათდეს „ვესტმინსტერ გაზეტ“-ის სიტყვებით: „დიდი ხმაურობა უმნიშვნელო რამეზე“.

ამ გაზეთის მოწინავე წერილში ნათქვამია:

„პარლამენტის დებატები ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ აღინიშნა გადაჭარბებული გაცხარებით და გაურკვევლობით. მაგრამ საკმარისია ნამდვილ პირობების წაკითხვა, რომ სავსებით გაიფანტოს შიში“.

საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვება.

საბირჟო წრეების ორგანო „ტაიმს“ სწერს:

„ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა წარმოადგენს საბჭოთა დიპლომატების გამარჯვებას. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ პარლამენტი იმ გაურკვეველ და განუხორციელებელ წინადადებების მაგიერ, რომლებიც წარედგინა ინგლისელ კრედიტორებს, თავდებობას იკისრებს ქვეყნის სახელით კრედიტისათვის.

პრესა შეთანხმების შესახებ.

ლონდონი, 11 აგვისტო. „კურიერ პორანის“ და „კურიერ პოლსკიის“ არ მოუთავსებიათ მოწინავე წერილები. მთელი რიგი გაზეთებისა თავს ესხმიან პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს და აღნიშნავენ, რომ ხსენებულ სააგენტოს წყალობით პოლონეთის პრესა სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა.

კონსერვატორებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ლონდონი. 9 აგვისტო. პონსონბის განცხადება თემთა პალატაში იმდენად მოულოდნელი იყო კონსერვატიულ წრეებისათვის, რომ უკიდურეს კონსერვატიულ ორგანოებს **„მორნინგ პოსტ“-ს და „დეილი ტელეგრაფ“-ს** 7 აგვისტოს სრულებით არ გაუკეთებიათ კომენტარიები ამ განცხადებისათვის, ჩავარდენ რა სასაცილო მდგომარეობაში, ვინაიდან წინა დღით დიდი ზეიმი ჰქონდათ კონფერენციის ჩაშლის გამო.

მოკავშირეთა და გერმანიის მოლაპარაკება

საფრანგეთის მთავრობამ მოიწონა ერრიოს პოლიტიკა კონფერენციაზე

რრიოს ფართე უფლებები მიენიჭა რურის ევაკუაციის საკითხში

რმანიაში იმედი აქვთ, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება

ერრიოს გამგზავრება პარიზში

შეთანხმების იმედი აქვთ.

ნაუენი, 10 აგვისტო. კონფერენციის წრეებში იმედი აქვთ, რომ ერრიოს გამგზავრება პარიზში გაადვილებს რურის ევაკუაციის საკითხის გადაჭრას. იტყობინებიან, რომ გამგზავრება გამოწვეულია მით, რომ **ერრიო ვერ შეუთანხმდა ნოლლეს, რომლის შეხედულება რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ ეწინააღმდეგება ერრიოს აზრს.**

ლონდონი, 10 აგვისტო. მთელი ყურადღება ამჟამად მიპყრობილია პარიზში ერრიოს გამგზავრების შედეგებისაკენ, ვინაიდან კონფერენციის მომავალი ბედი დამოკიდებულია იმ პოზიციაზე, რომელსაც დაიჭერს საფრანგეთის დელეგაცია რურის სამხედრო ევაკუაციის საკითხში.

საფრანგეთის კაბინეტის სხდომა.

ნაუენი, 10 აგვისტო. შაბათს საღამოს, პარიზში ერრიოს ჩასვლისთანავე შესდგა საფრანგეთის კაბინეტის საგანგებო სხდომა პრეზიდენტ დუმერგის დავმჯდომარეობით.

თითბირი ფოშთან.

პარიზი. 8 აგვისტო. მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომის გახსნამდე ერრიომ ითათბირა მარშალ ფოშთან.

რურის ევაკუაციის საკითხი

ნაუენი. 11 აგვისტო. ერთად ერთი შესაძლებელი საფრთხე კონფერენციის მუშაობაში მდგომარეობს იმაში, რომ ერრიო პარიზიდან დაბრუნების შემდეგ დაჟინებით მოითხოვს, რომ საკითხი რურის ევაკუაციის შესახებ დასმული იქნეს საფრანგეთის უშიშროების საკითხთან დაკავშირებით.

რომი. 11 აგვისტო. პარიზის გაზეთების ლონდონელი კორესპოდენტების ცნობით, საფრანგეთს არ სურს რურის დაცლა მანამდე, სანამ არ მიიღებს გერმანიის განიარაღების ალურ საბუთს, ჯერ კიდევ პარიზში გამგზავრებამდე ერრიოს თათბირი ჰქონდა ამ საკითხის შესახებ მაკდონალდთან. თათბირზე ირჩეოდა გერმანიის წინადადება, რომელიც მოითხოვს მოკავშირეების სამხედრო კონტროლის დაწესებას გერმანიაში არა უგვიანეს 15 აგვისტოსი.

ნაუენი. 11 აგვისტო. ლონდონიდან მიღებული ცნობით, საფრანგეთს სურს მიაღწიოს მოკავშირეებთან შეთანხმებას რურის ოკუპაციისათვის გაწეულ ხარჯების სარეპარაციო გადასახადების საერთო ჯამიდან დაფარვის შესახებ.

საფრანგეთის ახალი ყაზარმები რურში.

ჰანოვერი, 11 აგვისტო. ვერდენის და რეკლინგჰაუზენის **მუნიციპალიტეტებმა მიიღეს საოკუპაციო ხელისუფლებისაგან ბრძანებები ახალი ყაზარმების მოწყობის შესახებ. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ საფრანგეთის სარდლობამ წინადადება მისცა რურის ოლქის ცენტრში მდებარე მთელ რიგ ქალაქების მუნიციპალიტეტებს, სადაც იმყოფება საფრანგეთის ჯარების ნაწილების დიდი რაოდენობა, მოაწყონ ამ ნაწილებისათვის ახალი ყაზარმები.**

ერრიო ითხოვს ვადის გაგრძელებას.

ლონდონი, 9 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ერრიომ სთხოვა მაკდონალდს არ დასტოვოს კელნის რაიონი 10 ივნისამდე, როგორც ეს განზრახული იყო. მაკდონალდმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება გერმანიის ყოფა-ქცევაზე დოუესის გეგმის შესრულების დროს.

ერრიოს პოლიტიკა მოიწონეს

ფართე უფლებები ერრიოს.

ლონდონი, 10 აგვისტო. საფრანგეთის კაბინეტის საგანგებო სხდომის დამთავრების შემდეგ ერრიოს თანადასწრებით, გამოქვეყ მთავრობის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ **საფრანგეთის პრემიერის პოლიტიკა ლონდონის კონფერენციაზე სავსებით მოწონებული იქნა. ერრიო ბრუნდება ლონდონში საგანგებო უფლებებით რურის სამხედრო ევაკუაციის და სხვა სადაო საკითხების გადასაჭრელად.**

ნაუენი. 10 აგვისტო. „ტაიმს“-ის სიტყვით, **ერრიო არჩევნების წინ წარმოთქმული სიტყვის მიხედვით ვალდებულია აუცილებლად მოახდინოს რურის ევაკუაცია.**

გენერალი ნოლლე უარყოფითად უცქერის ყოველგვარ დათმობას გერმანიის სასარგებლოდ, კერძოდ ევაკუაციის საკითხში და წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრება გადადგომით.

„დეილი ტელეგრაფ“ იტყობინება, რომ ევაკუაციის საკითხი განიცდის მწვავე კრიზისის მომენტს.

ლონდონის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **ერრიოს გამგზავრებას პარიზში დიდი შედეგები მოჰყვება.**

პარიზის გაზეთები მოითხოვენ საფრანგეთის უფლებების სასტიკად დაცვას რურის ევაკუაციის საკითხში.

სარეპარაციო კომისიაში

შეთანხმება გერმანიასთან.

ლონდონი. 9 აგვისტო. ხელმოწერილია ხელშეკრულება სარეპარაციო კომისიასა და გერმანიის მთავრობას შორის იმ საკითხების გამო, რომელიც დაკავშირებულია დოუესის გეგმის შესრულებასთან.

შეთანხმება გერმანიის დელეგაციასთან.

ლონდონი. 11 აგვისტო. **გერმანიის დელეგაციამ და სარეპარაციო კომისიამ ხელი მოაწერეს შეთანხმები ექსპერტთა გეგმის გატარების საკითხებს შესახებ,** რომლებიც შედის სარეპარაციო კომისიის კომპეტენციაში. შეთანხმებაზე ხელის მოწერას აქვს პირობითი ხასიათი და ძალაში შევა მაშინ, როდესაც მოკავშირეები და გერმანიის დელეგაცია გადასჭრიან დანარჩენ საკითხებს.

სარეპარაციო კომისია ხვალ დაბრუნდება პარიზში.

კომისიების მუშაობა

მეორე კომისიაში

ჰანოვერი. 11 აგვისტო. კონფერენციის მეორე კომისიამ მოიწონა დებულება გერმანიის ახალი საემისიო ბანკის შესახებ.

ლონდონი. 11 აგვისტო. დღეს დაასრულებს თავის მუშაობას გერმანიის ეკონომიური მთლიანობის აღდგენის კომისია.

მიღწეული შეთანხმებანი

ნაუენი. 11 აგვისტო. „კოტიდიენ“-ის ცნობით, **კონფერენციამ შეთანხმებას მიაღწია სანქციების, რურის ეკონომიური ევაკუაციის და ამანათების გადაგზავნის შესახებ.** დაბრკოლება ელობება მხოლოდ ნატურით მიწოდების საკითხის გადაჭრას.

14-თა საბჭოს სხდომა

რურის ეკონომიური ევაკუაციის საკითხი

ლონდონი 11 აგვისტო. ერრიო მონაწილეობას მიიღებს 14—თა საბჭოს დღევანდელ სხდომაზე. ამ სხდომაზე მოსმენილ იქნება კომისიის მოხსენება რურის ეკონომიური ევაკუაციის შესახებ.

დაამთავრა მუშაობა იმ კომისიამ, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თანხების გადაგზავნის და ნატურით მიწოდების საკითხები. ამ კომისიის მოხსენებაც გადაეცემა 14—თა კომისიის დღევანდელ სხდომას.

ბერლინის პრესა კმაყოფილია

ბერლინი, 9 აგვისტო. პრესის კომენტარიებს ლონდონის მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებს აქვს ოპტიმისტური ხასიათი.

„ცაიტი“ აღნიშნავს გამარჯვებას მთელ ხაზზე. გაზეთი ძალიან დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს გერმანიის და საფრანგეთს დელეგატების შორის მომხდარ დარბაზობას. გაზეთი ფიქრობს, რომ ეს არის ცდა დაიწყონ უშუალო მოლაპარაკება რურის ევაკუაციის შესახებ. „ცაიტი“ ამშვიდებს ნაციონალისტებს იმით, რომ დარბაზობის ინიციატივა ფრანგებმა აიღეს ხელში. მოსალოდნელია, რომ ამ დღეებში მიღწეული იქნება შეთანხმება ფრანგ და გერმანელ დელეგატებს შორის ნატურით მიწოდების საკითხში.

„აბენდბლატი“ იუწყება, რომ არსებულ ცნობების მიხედვით, გერმანიის მთავრობა ისურვებდა, რათა ამ საკითხში მიღწეულ შეთანხმებას არ მიეღო მთავრობებს შორის დადებულ ხელშეკრულების ხასიათი, არამედ იგი წარმოადგენდეს კერძო ხელშეკრულებას ორივე ქვეყნის მრეწველთა შორის. სარეპარაციო საკითხზე მოლაპარაკებასთან ერთად ლონდონში შახტსა და მოკავშირე სახელმწიფოების ბანკირთა შორის სწარმოებს მოლაპარაკება სესხის გარშემო.

ჩვენ და უცხოეთი

ოსმალეთთან შეთანხმების რატიფიკაცია

მოსკოვი, 9 აგვისტო. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დამტკიცებულ იქნეს კონვენცია საქართველოს რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის საქართველოს და ოსმალეთის მოსაზღვრე ოლქების მცხოვრებლების მიერ საზღვრებზე გადასვლის შესახებ

კანადა

კანადის პრემიერის განცხადება.

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. საუბარში, რომელიც მოხდა ოთხშაბათს კანადის პრემიერსა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს შორის კანადაში, პრემიერმა განუცხადა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს, **რომ კანადას სურს სისწორით შეასრულოს საბჭოთა კავშირთან დადებული შეთანხმება.** სხვათა შორის პრეზიდენტ-მინისტრმა განაცხადა, რომ ეს შეთანხმება არა თუ ამყარებს სავაჭრო ურთიერთობას ორთავე სახელმწიფოს შორის, არამედ აგრეთვე უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის უფლებებს, საბჭოთა მოქალაქეების ინტერესების დაცვას, წარმომადგენლობის ექსტერიტორიალობის და მასი კორესპონდენციის ხელუხლებლობას.

შვეცია

შეკითხვა პროვოკაციულ გამოსვლის შესახებ

სტოკჰოლმი. 9 აგვისტო. რეიხსტაგის წევრმა, კომუნისტმა ამხ. ჩილბუმმა წარუდგინა პრემიერ ტრიუგერს ოფიციალური განცხადება, რომელშიაც პროტესტს აცხადებს იმ მტრული სიტყვის წინააღმდეგ, რომელიც წარმოსთქვა ელმკვისტმა, შვეციის ელჩმა, ჰელსინგფორსში შვეციის ფლოტის შესვლასთან დაკავშირებით. ამხ. ჩილბუმი აცხადებს, რომ ამ ფლოტის შესვლა, ელმკვისტის სიტყვასთან და კავშირებით, არის მახვილის ჩაცემა შვეციის მუშათა და გლეხთა მშვიდობიანობის მოყვარეობისათვის, პირველი ნაბიჯი საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი ურთიერთობის ჩასაშლელად და ომის პროვოკაცია. ამხ. ჩილბუმი სვამს კითხვას: „იყო ფლოტის დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“?

ელმკვისტის სიტყვა, რომელშიაც მან ხაზი გაუსვა ამ დემონსტრაციის სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს, წარმოთქმული იყო შვეციის მთავრობის დავალებით.

ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონფერენცია

ბერლინი. 9 აგვისტო. ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესზე ჰამბურგში ჟუომ ხაზი გაუსვა, რომ **მოკავშირეთა კონფერენცია ლონდონში არის 2-ე ინტერნაციონალის დამსახურება.**

ფიმმენის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ დოუესის გეგმა დაკავშირებულია მუშათა კლასისათვის მოსალოდნელ საფრთხესთან, მაგრამ მეორეს მხრივ აღნიშნულია, რომ „გერმანიის მუშათა კლასი მზადაა წავიდეს დათმობაზე“.

რეზოლიუცია მოითხოვს საერთაშორისო გაერთიანებაში ტრანსპორტის მუშათა რევოლიუციონურ პროფკავშირების მიღებას. ნორვეგიის, შვეციის, ჩეხო-სლოვაკიის და ინგლისის დელეგატებს შორის შემჩნეულია ძლიერი მიმდინარეობა საერთაშორისო გაერთიანებაში საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მუშათა მიღების სასარგებლოდ. საბოლოო სიტყვაში, **ფიმმენი იცავდა თავის პოზიციას, რომელიც მას ეჭირა ბერლინის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მუშათა წარმომადგენლების მიმართ და განაცხადა, რომ ის ამაყობს ამ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებით. ამ კონფერენციის მანიფესტი შემუშავებული იყო ლოზოვსკისთან ერთად, რისთვისაც ის, ფიმმენი კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას.**

კონგრესის რეზოლიუცია

პარიზი. 11 აგვისტო. ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესმა ჰამბურგში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის მტკიცეთ დაცვას.

პარიზი. 11 აგვისტო. ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესმა ჰამბურგში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს რურის ევაკუაციას და ოკუპაციის შედეგების ლიკვიდაციას. კონგრესი აღნიშნავს, რომ გერმანიის მუშები მზად არიან „წავიდენ ფართო დათმობაზე“ იმ მიზნით, რათა გერმანიის ტერიტორიაზე მოისპოს სამხედრო რეჟიმი.

გერმანიის ამბები

რეიხსტაგში.

ბაჟის შემოღება შემოსაზიდ საქონელზე.

ჰანოვერი. 11 აგვისტო. რეიხსტაგმა მოიწონა მთავრობის წინადადება მთელ რიგ სანოვაგეზე და ნედლ მასალაზე შემოსაზიდი ბაჟების დაწესების შესახებ. უქმდება ომის დროს გამოცემული დადგენილება ამ საგნების ბაჟისაგან განთავისუფლების შესახებ. ბაჟის შემოღების წინააღმდეგ ხმა მისცეს: პრუსიამ, საქსონიამ და შაუმბურ-ლიპემ. როგორც იტყობინებიან, შესაძლებელია კანონპროექტმა ვერ მიიღოს ხმის უმეტესობა რეიხსტაგში.

შეთქმულება მატესის წინააღმდეგ

რომი. 11 აგვისტო. ბერლინში აღმოაჩინეს შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა რეინლანდის სეპარატისტების ლიდერის მატესის მოკვლას.

„მზადება“ კონსტიტუციის დღისათვის.

ბერლინი, 9 აგვისტო. ჰალეში ნაციონალისტებმა ღამით დაამტვრიეს არკები და დასწვეს დროშები, რომლებიც მოწყობილი იყო რესპუბლიკანური კავშირის მიერ ვეიმარის კონსტიტუციის დღისათვის ტიურინგიის მთავრობამ აკრძალა განზრახული პროცესია და სამხედრო აღლუმი. ბერლინის ხელისუფლებამ უარი უთხრა კომპარტიას სეპარატიული დემონსტრაციის მოწყობაზე.

ამერიკა ოქროში იხრჩობა

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა, რომელზედაც დამოკიდებულია შეერთებულ შტატების საკრედიტო სისტემა, 3-დე შეამცირა მოკლევადიან სესხების პროცენტების რაოდენობა. ასეთი პროცენტი ითვლება ყველაზე მცირე პროცენტად, რომელიც როდესმე ჰქონიათ ბანკებს. **ასეთი ზომის მიღება აიხსნება შეერთებულ შტატებში ოქროს დიდი მარაგის დაგროვებით, რის გამო ბანკებში იზრდება ზედმეტი თანხები, რომლისათვისაც შესანახავი ბინაც კი არ მოიპოვება.**

ბანკები ფიქრობენ, რომ პროცენტის **დაკლება საშუალებას მისცემს უცხოეთის კომერსანტებს უფრო ხელსაყრელ პირობებში აიღონ სესხი ამერიკაში, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში.** ოქროს ზედმეტი რაოდენობა დიდ შიშს იწვევს ამერიკის საქმიან წრეებში, ვინაიდან ეს იწვევს საქონლის ფასის ზრდას და ევროპის სყიდვითი უნარიანობის შემცირებას ამერიკის საქონლისადმი, ამერიკელ ვალიუტის სიძვირის გამო. ამ შიშს შედეგად მოჰყვა ის, რომ ამერიკელმა და ინგლისელმა ბანკირებმა ნიუ-იორკის ბირჟაზე ძალიან ასწიეს ინგლისის და ევროპის სხვა ვალიუტის კურსი. ამ ფინანსიურ მანევრებს სარჩულად უდევს პოლიტიკური მიზანი, ვინაიდან მათ სურთ ქვეყანას დაანახვონ, რომ თითქოს ახლო მომავალში მეურნეობა აყვავდება. ამავე დროს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა არც ისე კარგია. ლითონის მრეწველობის კრიზისი ცუდ გავლენას ახდენს შეერთებულ შტატების ეკონომიკაზე. **ფოლადის და რკინის წარმოება ივლისში მნიშვნელოვნად შემცირდა. თუჯის წარმოება ეცემა.** თუმცა პოლიტიკური პარტიები ემყარებიან პურის ფასების ზრდაზე, ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წრეები სცდილობენ შეასუსტონ ოპტიმიზმი და ფიქრობენ, რომ ხორბალზე ფასების აწევით ვერ იქნება დაძლეული მიწად-მოქმედების კრიზისი. ეს მხოლოდ საშუალებას მისცემს ზოგიერთ ფერმერებს გაისტუმრონ თავიანთი ვალები. გარდა ამისა ახალი მოსავლის მდგომარეობა სრულიად აქარწყლებს ხორბალზე ფასების აწევის მნიშვნელობას.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეები და გერმანია

საფრანგეთი გამოიყვანს ჯარებს რურიდან

ბერლინი 11 აგვისტო. საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომაზე, რომელიც შესდგა კვირას ღამით, ერთხმად დაადგინეს მხარი დაუჭიროს ერრიოს გეგმას რურის ევაკუაციის შესახებ, დოუესის გეგმის ცხოვრებაში გატარებასთან ერთად. ამ რიგად, ნოლლეს პროექტი, რომელიც რურის ევაკუაციის საკითხს უკავშირებს საფრანგეთის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფას, უარყოფილ იქნა. დაუყოვნებლივ, როგორც კი გათავდა მინისტრთა საბჭოს სხდომა, საფრანგეთის დელეგაციის წევრები დაბრუნდნენ ლონდონში.

შეთანხმება ამნისტიის შესახებ

ბერლინი 11 აგვისტო. გერმანიისა და საფრანგეთის დელეგაციებს შორის მოხდა შეთანხმება ამნისტიის შესახებ. ამნისტია ვრცელდება დაპყრობილი ოლქების ყველა მცხოვრებლებზე, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემული ოკუპანტების წინააღმდეგ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისათვის. ამნისტია არ ვრცელდება იმათზე, ვისაც მკვლელობა ბრალდება.

გერმანიაში

რესპუბლიკის ხუთი წლის თავი

ბერლინი 11 აგვისტო. გუშინ მთელს გერმანიაში იდღესასწაულეს ვეიმარის კონსტიტუციის შემოღების 5 წლის თავი. თვით ვეიმარში, რომელიც ზეიმის ცენტრი იყო, პრეზიდენტმა ებერტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ გერმანიის რესპუბლიკა მიზნათ ისახავს თავის ტერიტორიის განთავისუფლებას მტრის ჯარებისაგან და რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღდგენას.

კენიგსბერგის ბაზრობა.

ბერლინი. 11 აგვისტო. გუშინ დიდის ზეიმით გაიხსნა კენიგსბერგის ბაზრობა.

მოკავშირეთა ვალების საკითხი

ჰანოვერი. 11 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იტყობინება ლონდონიდან, რომ ერრიომ შესძლო მაკდონალდის დათანხმება იმაზე, რომ **მოკავშირეთა ვალების საკითხი გადაეცეს განსახილველად მხოლოდ დაინტერესებულ სახელმწიფოების მინისტრებს.** ვაშინგტონიდან მიღებული ოფიციალური ცნობის თანახმად, ამერიკა არ დათანხმდება საფრანგეთის ვალების სავსებით გაუქმებაზე, რასაც მოითხოვს ერრიო კომპენსაციათ სარეპარაციო საკითხში დათმობისათვის.

საფინანსო კონფერენცია პარიზში

ნაუენი. 11 აგვისტო. „ტაიმს“-ის ცნობით, საკითხი მოკავშირეთა ვალების შესახებ განხილული იქნება ფინანსთა მინისტრების კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება დაუყოვნებლივ ლონდონის კონფერენციის დამთავრების შემდეგ.

კომუნისტების პროცესი

ინციდენტი კომუნისტების პროცესზე.

ბერლინი. 9 აგვისტო. კომუნისტების და რეიხსვერის წევრების პროცესზე, რომელიც სწარმოებს ლეიპციგის სასამართლოში, სასამართლოს თავმჯდომარემ ნიდერმა, რომელიც ჩვენებას ართმევდა რეიხსვერის ჯარისკაცებს, განაცხადა, რომ უფრო კარგი იქნებოდა, დასაკითხავი ბრალდებულები თავის დროზე დაეხვრიტათო.

კომუნისტი დამცველები ზამტერი და გერცფელდი სასამართლოში მყოფი საზოგადოების პროტესტის დროს სტოვებენ სხდომის დარბაზს. ზამტერმა და გერცფელდმა გაუგზავნეს პრეზიდენტს და იუსტიციის საიმპერიო მინისტრს საპროტესტო დეპეშა ნიდერის გამოსვლის წინააღმდეგ და მოითხოვეს მისი თანამდებობიდან გადაყენება. ბრალდებულ ჯარისკაცების თვით ბურჟუაზიული დამცველები უარს ამბობენ დაცვაზე. ნიდერმა ერთ დროს კომუნისტების კენიგსბერგის პროცესზედაც გამოიწვია ანალოგიური ინციდენტი თავისი განცხადებით, რომ საბჭოთა დროშა წარმოადგენს „უბრალო ჩვარს“-ო.

ინციდენტის გამო სასამართლოს სხდომა გადაიდო.

სხვა და სხვა ამბები

— **ბულგარეთში.** ბულგარეთის მთავრობამ მთელს ბულგარეთში საალყო წესები გამოაცხადა. ეს ზომა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ოპოზიციონერი პარტიები სახელმწიფოებრივ გადატრიალებას ამზადებენ. მაკედონელთა ორგანიზაციებმა მოქმედება გააძლიერეს.

— **ბულგარეთ-საბერძნეთის საზღვარზე.** ბულგარეთ-საბერძნეთის საზღვარზე შეტაკებები გრძელდება.

— **სამხრეთ-სლავია და საბერძნეთი.** საბერძნეთსა და სამხრეთ-სლავიის შორის მოხდა შეთანხმება. შეთანხმება მიმართულია ბულგარეთის წინააღმდეგ.

— **რევოლიუციონური რაზმები მიდიან სოფიაზე.** რევოლიუციონური რაზმები ალექსანდროვისა და ფეოდოროვის მეთაურობით ემუქრებია ბულგარეთის სატახტო ქალაქს ამის. გამო მთავრობა აძლიერებს ჯარებს სოფიაში.

— **ფაშისტების ახალი დირექტორია.** ფაშისტური პარტიის ახალ დირექტორია წარუდგა მუსოლინის.

— **დე-რივერა უარყოფს ხმებს** ესპანეთის დირექტორი ფაშისტი გენერალი დე-რივერა ჯარებისადმი გაცემულ ბრძანებაში უარყოფს ხმებს დირექციის გადადგომის შესახებ.

— **რეაქციონერების დაპატიმრება.** რეშტში (სპარსეთი) დააპატიმრეს მრავალი რეაქციონერი. გამოირკვა, რომ მათ მტკიცე კავშირი ჰქონდათ თეირანელ რეაქციონერებთან.

— **ყრილობის გადადება** ნორვეგიის კომპარტიის ცეკამ დაადგინა გადასდვას პარტიის ყრილობა შემოდგომამდი, როცა დამთავრდება საპარლამენტო არჩევნები.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რადიოს მოყვარულთა საზოგადოება

მოსკოვი. 11 აგვისტო. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა დაამტკიცა საბჭოთა რუსეთის რადიოს მოყვარულთა საზოგადოების წესდება. საზოგადოების წევრებად მიიღება ყველა ვინც შეიტანს საწევრო და შესასვლელ გადასახადს. წევრთა ჩაწერას აწარმოებს საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები.

საჰაერო ხაზი ნიჟნის და ყაზანს შორის.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 11 აგვისტო. დაიწყო რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა ნიჟნისა და ყაზანს შორის.

სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

მოსკოვი, 11 აგვისტო. რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ შეიძინა ავსტრიასა და ჩეხო-სლოვაკიაში 3 მილ. მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანების დიდი პარტიები. მანქანებს მიიღებენ ლენინგრადის ნავთსადგურში, საიდანაც განაწილებული იქნება სახელმწიფო ორგანოების შორის.

სრ. რუსეთის გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების ყრილობა.

მოსკოვი. 11 აგვისტო. სასოფლო საბჭოების ხელახალი არჩევნების დროს არჩეული იქნენ აგრეთვე დელეგატები სრულიად რუსეთის გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების ყრილობაზე.

უკრაინა

სპილენძის ფულის განაწილება.

ხარკოვი, 11 აგვისტო. უკრაინის ფინანსთა სახ. კომისარიატმა მიიღო ლენინგრადიდან 5 კაპიკ. სპილენძის ფულის პირველი პარტია 30-000 მანეთის რაოდენობით. პირველ რიგში ფული გაიგზავნება პოდოლიესა და ვოლინში, სადაც ყველაზე უფრო განვითარებულია საწვრილმანო ვაჭრობა.

5.000.000 მანეთის ობლიგაციები.

ხარკოვი. 11 აგვისტო. 1 აგვისტოსათვის უკრაინაში გაყიდულია გლეხთა სესხის 5,000.000 მან. ობლიგაციები. ობლიგაციების მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაიზარდა

ტარიფების გათანასწორება

მოსკოვი 10 აგვისტო. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ცნობა მელითონეების, მბეჭდავების, მშენებლების, განათლების მუშაკების და სხვათა ტარიფების გამთანასწორებელ კომისიის მუშაობის შესახებ, დაადგინა; კომისიის მუშაობა ცნობილ იქნეს საფუძვლად შრომის კვალიფიკაციის დარგში. ამ საკითხში უთანხმოების მოსაგვარებლად კავშირების ცეკასთან დაარსებულია საგანგებო კომისია. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ტარიფების შეცვლის ცხოვრებაში გატარება უნდა ხდებოდეს თანდათანობით, კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს, ისე, რომ დაცული იქნეს რეალური სამუშაო ხელფასი.

ნათესების მდგომარეობა

მოსკოვი, 8 აგვისტო. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, 31 ივლისისათვის ჩრდილოეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ, ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ ოლქებში კართოფილი, სელი, მუხუდო — საშუალოა. ცენტრალურ ოლქში კართოფილი ზოგიერთ ადგილებში საშუალოზე მეტი და კარგი. შავნიადაგიან ოლქში, შვრია, მზესუმზირა — საშუალოს უახლოვდება, კართოფილი დამაკმაყოფილებელია. ზემო ვოლგის ოლქში—შვრია—ცუდიდან—საშუალამდე, კართოფილი—საშუალო. შუა ვოლგის ოლქში კართოფილი — საშუალოზე მაღალი შვრია—უახლოვდება საშუალოს. ქვემო-ვოლგის ოლქში—შვრია—ცუდიდან—საშუალომდე, მზესუმზირა—საშუალო. ყირგიზთა რესპუბლიკაში—შვრია—ცუდი. სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქში—სიმინდი და მზესუმზირა ცუდიდან—საშუალომდე, დანარჩენი ნათესები—საშუალო.

პარტიული ცხოვრება

ლეჩხუმის მაზრა

კომკავშირის მუშაობა ივლისში

წარსულ თვეებში კომკავშირის მუშაობა ლეჩხუმის მაზრაში მოისუსტებდა. მიზეზი ამისა კი იყო ძალების უყოლობა და სხვა მრავალი მიზეზები. უკანასკნელ ხანებში მე-6-ე ლეგალური სამაზრო კონფერენციის შემდეგ—ყოველივე დაბრკოლებები გადალახული იქნა, და თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარსულთან შედარებით მუშაობა მთლიანად დადგა თავის სიმაღლეზე.

მაზრა დაყოფილია 5 რაიონად: 1—ცაგერის, 2—ლაილაშის, 3—ლვირიშ-ნაყურალეშის, 4—ჩოლურის და 5-მექვენის (ახლად დამტკიცებული). არსებობს 28 უჯრედი 4000 წევრით და კანდიდატით. შემადგენლობა გლეხურია.

საანგარიშო თვის განმავლობაში დაარსებული იქნა 9-უჯრედი. ამ ერთი თვის განმავლობაში ორგანიზაციაში შემოსულია 106 კანდიდატი. ორგანიზაციული კრებები უჯრედებში სისტემატიურად იმართება კვირაში 1-ხელ, დისციპლინა სათანადო სიმაღლეზეა, თვეში 1-ლ იმართება სარაიონო კრებები, უჯრედების მდივნებთა თათბირი და სხვა, რამაც კარგი შედეგები მოგვცა. მაზრის მასშტაბით წერა-კითხვის უცოდინარნი ჩვენს კავშირში არ არის; პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმოების მიზნით მაზრაში არსებობს 14—პოლიტწრე, მეცადინეობას სისტემატიური ხასიათი აქვს მიცემული—წრეებზე მიმაგრებული არიან მომზადებული ამხან. თვით ქალაქში არსებობს 1-ლი და 2-რე საფეხურის წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს მაზრკომის პრეზიდიუმი.

თვით ქალაქში კომკავშირს ჰყავს თავისი დრამ-წრე, რომელიც სისტემატიურად მართავს წარმოდგენას როგორც ფასიანს, ისე უფასოს. ერთი სიტყვით პოლიტ-აღმზრდელობითი სფეროში და კულტურულ დარგში კომკავშირი ძალიან დაწინაურდა, ვიდრე ოდესმე.

საერთოდ ეკონომიურ მუშაობას ივლისის თვემდე არ ჰქონებია არავითარი ყურადღება მიქცეული, ივლისის თვეში კი ეს მთავარი ნაკლი ჩვენი მუშაობისა დაძლეული და გამოსწორებული იქნა.

აყვანილი იქნა აღრიცხვაზე ქალაქში მყოფი ნოქარ-შეგირდული ახალგაზრდობა. შრომის რწმუნებულის და პროფ-კავშირის საშუალებით დაცულია 6—8 საათის სამუშაო დღე. კომკავშირის ხელმძღვანელობით გახსნილია მაისში წ. ქ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა. სწარმოებს აღმზრდელობითი მუშაობა, და სხვა. მიღებული გვაქვს ზომები რაიონებში „ბატრაკულ“ ახალგაზრდობაში მუშაობის საწარმოებლად, თუმცა ასეთები ჩვენს მაზრაში ცოტანი არიან. მაზრკომს მჭიდრო კავშირი აქვს პროფკავშირთან და შრომის რწმუნებულთან. გამოყოფილი გვყავს ჩვენი წარმომადგენელი მათში, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მათ მუშაობაში.

უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა მუშაობა უპარტიო ახალგაზრდა ქალთა შორის. ივლისის თვეში ჩვენს კავშირში შემოსულია 8 ახალი ქალი, თუმცა ეს უმნიშვნელო პროცენტი არის, მაგრამ სულ ახლო ხანში ეს რიცხვი გაიზრდება.

უპარტიო ახალგაზრდობა მთლიანად ჩვენი კავშირის გავლენის ქვეშ იმყოფება,—ესწრებიან ჩვენს ღია კრებებს, ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას კავშირის კულტურულ მუშაობაში და სხვა.

ლეჩხუმის მაზრას თავისი რევოლიუციონური წარსული აქვს, და ამ მაზრის მშრომელი ახალგაზრდობა კომკავშირის მეთაურობით, მთლიანად შეასრულებს იმ ანდერძს, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საყვარელმა ილიჩმა.

აკ. რამიშვილი.

ამხ. მიხეილ ივანეს ძე ურიგაშვილის ხსოვნას

აგვისტოს 9, თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხ. მიშა ივანეს-ძე ურიგაშვილი, რომელსაც კარგათ იცნობს გორის მაზრის ორგანიზაცია, როგორც სპეტაკ და საუკეთესო მუშაკს.

ამხ. მიშა ურიგაშვილი იყო ღარიბი გლეხის შვილი სოფ. მეჯვრისხევიდან (გორის მაზრა). დაიბადა 1891 წ. პირველ დაწყებით სწავლა-განათლება მიიღო მეჯვრისხევის ორკლასიან სასწავლებელში.



ამხ. მ. ურიგაშვილი

მამის სიკვდილის შემდეგ 1903 წ. ამხ. მიშას არ ჰქონია საშვალება, რომ სწავლა გაეგრძელებია და ის შეუდგა ოჯახის პატრონობას, რომელიც ოთხი ობლისგან შესდგებოდა.

1904 წ. ის თფილისში ერთ-ერთ მოხელესთან დგება შეგირდათ— პარიკმახერის ხელობის შესასწავლათ, სადაც მან დაჰყო 1913 წლამდე, და გაეცნო რევოლიუციონურ მოძრაობას.

კომუნისტურ პარტიის ოფიციალურ წევრათ ამხ. მიშა ითვლებოდა 1917 წ. ამ დროიდან ის ეწევა ენერგიულ რევოლიუციონურ მუშაობას; აწყობს კრებებს, ავრცელებს მოწოდებებს და სხვა. 1919 წელს ამხ. მიშა ურიგაშვილი დაპატიმრებული იქნა როგორც ბოლშევიკი მენშევიკური მთავრობის მიერ. განთავისუფლების შემდეგ მან განაგრძო მუშაობა და არ შეუშინდა არავითარ რეპრესიებს, რომელსაც აწარმოებდენ—რევოლიუციონერების წინაამდეგ მშრომელი ხალხის მტრები—მენშევიკები და მათი მოკავშირე პარტიები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან ამხ. მიშა ურიგაშვილი აწარმოებს კიდევ უფრო გაცხოველებულ მუშაობას, და პირნათლად ასრულებს პარტიის ყოველგვარ დავალებას.

უკანასკნელ ხანებში, როდესაც მთელი პარტიის ყურადღება მიპყრობილ იქნა კოოპერაციის აღორძინებაზე, ამხ. მიშა გაგზავნილი იქნა კოოპერაციაში სამუშაოთ. მიუხედავათ იმისა, რომ მას აკლდა თეორეტიული მომზადება ამ დარგში, ის სულ მოკლე ხნის განმავლობაში გაეცნო საკითხს და ენერგიული მუშაობით გამოაკეთა მდგომარეობა ადგილობრივ კოოპერაციაში. უკანასკნელ დროს ის ითვლებოდა გორის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეთ, ამხანაგები რომლებიც მუშაობდენ მასთან, დიდი პატივისცემით და სიყვარულით უყურებდენ მას და ერთგულათ ემსახურებოდა იმ საქმეს, რომელიც მათ დაავალა პარტიამ და მშრომელმა მასამ.

ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოაცალა ჩვენს რიგებს ამხ. მიშა რომლის სახით გორის მაზრის ორგანიზაციამ დაჰკარგა საუკეთესო მუშაკი და ამხანაგი.

მშვიდობით ამხ. მიშა, შენი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება შენს ამხანაგთა შორის...

ანდრია სიამაიშვილი.

კოოპერაცია

წარმოკავშირის საბჭოს სესია

სესიის გახსნა.

10 აგვისტოს დილის 10 საათზე გაიხსნა „წარმოკავშირის“ საბჭოს მორიგი სესია.

სესიის პირველი სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ—ამხ. **ვასო ცაბაძემ**, რომელმაც მოკლე სიტყვით აღნიშნა „წარმოკავშირის“ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები და მისი საქმიანობა საბჭოთა უკანასკნელი სხდომიდან დღემდე. შემდეგ საბჭო ირჩევს დროებით პრეზიდიუმში ამხ. ამხ. ჩანტლაძეს, ნარიმანოვს, გონაშვილს. საპატიო თავმჯდომარეებად საბჭო ირჩევს სტუმრად მოსულს რ. ს. ფ. ს. რ. „სელსკოსოიუზი“-ს წარმომადგენელს ამხ. ვესიუკს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების გამგეს ამხ. ფუსიიუკს და ა|კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის თავმჯდომარეს ამხ. ჩხენკელს.

მისალმებანი.

რ. ს. ფ. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალურ კავშირის „სელსკოსოიუზის“ სახელით სესიას ესალმება ამხ. **იაკოვლევი**, რომელიც მოკლე მიმოხილვას აკეთებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ რუსეთში.

იგი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია რუსეთში—მიუხედავად მრავალი დაბრკოლებელი პირობებისა, მიმდინარე წლის 1 ნახევარში 35 პროცენტით გადიდდა.

შემდეგ ეხება რა სასოფლო მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობას ამხ. იაკოვლევი აცნობს დელეგატებს „სელსკო-სოიუზის“ სამოქმედო გეგმას სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის და სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გასაღების საქმეში.

დასასრულს იგი გამოსთქვამს სურვილს საქმიანი ურთიერთობის დამყარების შესახებ საქართველოს და რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შორის.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელით სესიას ესალმება ამხ. **ფესიიუკი**, რომელიც სახელმწიფოს ბანკის და სასოფლო მეურნეობის მუშაობის საერთო დანიშნულებას—ჩვენი მეურნეობის აღორძინების საქმეში, აღუთქვამს სესიას შეძლებისდაგვარ დახმარებას და მოუწოდებს დელეგატებს უფრო მეტი იმედი დაამყარონ საკუთარ თვითმოქმედებაზე, ვიდრე ბანკების კრედიტებზე. ა|კ. კოოპერატივ. ცენტრ. ავშირის და „ცეკავშირის“ სახელით მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ ამხ. ამხ. **პიჩიკიანი და ცაგარელი**, რომელნიც მომხმარებელ და საწარმოო კოოპერატივებს შორის არსებულ დავას უკვე ამოწურულად სთვლიან დი აღუთქვამენ „წარმოკავშირს“ ამხანაგურ თანამშრომლობას. ა|კ. სასოფლო სამეურნეო ბანკის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. **ჩხენკელი**, რომელიც აღნიშნავს ბანკის და სას. სამ. კოოპერატიის საერთო დანიშნულებას, ბანკის სახელით აღუთქვამს სრულს ხელის შეწყობას გლეხის მეურნეობის აყვავების საქმეში.

შემდეგ საბჭომ მიიღო რეგლამენტები და შემდეგი დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1) საინფორმაციო მოხსენება წარმოკავშირის მოქმედებაზე 1924 წლ. 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე.

2) 1924 წ. ფინანსიური ანგარიშის დამტკიცება და უკანასკნელი თვის ბალანსის განხილვა.

3) წარმოკავშირის მოქმედების გეგმა 1924 წ. მე-2 ნახევრისათვის სა[illegible]ურნეო, საორგანიზაციო აგრიკულტურულ დარგში.

4) სასოფლო-მამეურნეო კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა და საჭირო ღონისძიებანი მისი გაუმჯობესებისათვის.

5) წარმოკავშირში ახალი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების წევრად მიღება.

6) წარმოკავშირის დებულება, შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა 1924 წ. 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე.

7) მიმდინარე საკითხები:

1. წარმოკავშირის საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირში წევრად შესვლა და ექსკურსიის გაგზავნა კოოპერატიულ გამოფენაზე გენტში.
2. წარმოკავშირის მონაწილეობა სხვა და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში და ბანკებში.
3. სტიპენდიანტების გაგზავნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უმაღლეს კურსებზე.
4. ლენინის სახელობის კოოპერატიული ფონდის შექმნის შესახებ.
5. დამოკიდებულება „სელსკოსოიუზ“-თან.
6. წარმოკავშირის წარმომადგენლობა მოსკოვში.
7. რწმუნებულთა ყრილობის მოწვევა.
8. გაზ. „მიწის მუშა“-ს შესახებ.

ვინაიდან საბჭოს საქმიანი მუშაობისათვის მნიშვნელობა აქვს ახალ ორგანიზაციების მონაწილეობას, დელეგატები მოითხოვენ განხილული იქნეს პირველ რიგში ახალ ამხანაგობების წევრად მიღების საკითხი. კრებამ წინადადება მიიღო.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დებულება ახალი წევრების მიღების შესახებ. ახალი ორგანიზაციებს წარმომადგენლებს მიეცათ თათბირში მონაწილეობის სრული უფლება გადამწყვეტი ხმით. შემდეგ მოხსენებას წარმოკავშირის მოქმედებაზე კითხულობს ამხ. ლადო **დუმბაძე**, რომელსაც სესია ტაშით ხვდება.

წარმოკავშირის მოქმედება

(მომხსენებელი ამხ. ლ. დუმბაძე)

მომხსენებელი ვიდრე „წარმოკავშირის“ მოქმედების მიმოხილვას შეეხებოდა აცნობს იმ უფლებრივ მდგომარეობას, რომელშიდაც ჩაყენებული იყო წარმოკავშირი რამოდენიმე თვის წინად, როცა სადაო იყო მისი დამოუკიდებელი არსებობა, რომლის გარშემო გაცხარებული კამათი და ბრძოლა სწარმოებდა. ეს დავა გადაწყდა სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის სასარგებლოდ და იმ დღიდან იწყება „წარმოკავშირის“ დამშვიდებული, ნორმალური მუშაობა, რომლის საერთო დახასიათებას იძლევა მომხსენებელი. 24 წლის 1 იანვრისათვის წარმოკავშირი აერთიანებდა 25 ამხანაგობას—10.189 წევრით, ამავე წლის აპრილისათვის ამხანაგობათა რიცხვი 56-მდე ასულა, ხოლო წევრთა რიცხვის 15 ათასს გასცილებია, ხოლო ამავე წლის პირველ აგვისტოსთვის „წარმოკავშირი“ უკვე აერთიანებს 95 სასოფლო-სამეურნეო კოოპ. ორგანიზაციას—18756 წევრთა რიცხვით. 95 ორგანიზაციიდან სპეციალურად გამსაღებელია—52, სპეციალური გადამმუშავებელი—27, სასოფლო-სამეურნეო—10, სასოფ.-სამეურნეო საკრედიტო—13 და სხვა.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ეხება ყველა დარგის კოოპერ. მოქმედებას. ანგარიში მათი მოქმედების შესახებ უკვე იყო ჩვენი გაზეთის №№ 175—179-ში მოთავსებული.

სალამოს სხდომა

კამათი ამხ. ლ. დუმბაძის მოხსენების გარშემო

სალამოს სხდომაზე გაიმართა კამათი „წარმოკავშირი“-ს მოქმედების გარშემო. ოპონენტები ეხებოდენ სასოფლო კოოპერაციის მდგომარეობას ადგილებზე, კრედიტის, გასაღების და მომარაგების საკითხებს. აღნიშნავდენ აგრეთვე შტატის შეუფერებელ სიდიდეს, რომელიც, მათი აზრით, იწვევს ზედმეტ ხარჯებს, ზედართულ დამატებას ფასებზე. კამათის შემდეგ სესია ისმენს ფინანსიურ ანგარიშს. განსამარტავი მოხსენების შემდეგ საბჭო 1923 წლის ფინანსიურ ანგარიშს ამტკიცებს. მოსმენილ იქნა უკანასკნელი თვის ბალანსი.

მეორე დღე (დილის სხდომა)

ამხ. ლ. დუმბაძის საბოლოო სიტყვა

დილის სხდომაზე სიტყვა საბოლოო დასკვნისათვის ეძლევა ამხ. ლადო დუმბაძეს, რომელიც ვრცელ პასუხს აძლევს შეკითხვებზე და კამათის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს. კერძოთ,—შტატის სიდიდეს მომხსენებელი ხსნის იმ გარემოებით, რომ სოფლად კოოპერატივების მოუწყობლობის და ადგილობრივ მცოდნე პირების უყოლობის გამო „წარმოკავშირს“ სჭირდებოდა სპეც. ინსტრუქტორები, რომელნიც იგზავნებოდენ ადგილებზე მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად და მოქმედების გასაცხოველებლად.

„წარმოკავშირის“ მოქმედების გეგმა 1924 წლის მეორე ნახევრისათვის

(მომხსენებელი ამხ. მხეიძე)

მომხსენებელი ეხება მომავალი მუშაობის გეგმას ცალკ-ცალკე გასაღების და მომარაგების დარგებში.

„წარმოკავშირს“ უკვე შემოსავალი აქვს ქართლის და ახალციხის მაზრებში 100 ათასი ფუთი ვაშლი. ამ შეკვეთილი რიცხვიდან 25 ათასი ევროპიული ჯიშის ვაშლი გაეგზავნება გასასაღებლად „სელსოიუზს“, რომელიც დაიტოვებს თავისთვის წმინდა მოგების 40 პროცენტს. დანარჩენი 60 პროცენტი რჩება „წარმოკავშირს“ რომელიც მოგებას გაანაწილებს წევრთა შორის. „წარმოკავშირი“ შეუდგა აგრეთვე ხმელი ხილის დამზადებას.

განზრახულია აგრეთვე 30 ათასი ფუთი თხილის და ნიგოზის დამზადება, 15 ათასი ფუთი აღმოსავლეთ საქართველოში და 16 ათასი დასავლეთ საქართველოში. უკვე დამზადებულია 10 ათასი ფუთი.

ღვინის ოპერაციებისათვის წარმოკავშირს გადადებული აქვს განსაზღვრული თანხა. გეგმის გათვალისწინებული 100 ათასი ვედრო ღვინის დამზადება. აქედან 40 ათასი ვედრო იქნება გაგზავნილი ღვინო რუსეთის ბაზარზე გასატანად.

განზრახულია დამზადება 10 ათასი ფუთი თამბაქოსი, გარდა იმისა, რაც უკვე დამზადებული აქვს (5 ათასი ფუთი) წარმოკავშირს. განზრახულია აგრეთვე 20 ათასი ფუტი მატყლის დამზადება, ცხვრის ტყავის დამუშავება.

წარმოკავშირს ექნება ამ წელს ყოველ ეჭვს გარეშე 80 ათასი ფუთის ბამბის გასავალი. მის დასამზადებლად საჭირო იქნება 400.000 მანეთი.

გარდა ამისა მიღებულია ზომები 500 ფუთი ღორის ჯაგარის დასამზადებლად 70 ვაგონი კვერცხის მოსამარაგებლად და სხვა.

მომარაგების დარგში დამზადებულია, 70 ათასი ფუთი შაბიაბანი, მიღებულია ზომები 5 ათასი ფუთი ბოსტნეულის და ბალახის თესლეულის შესაძენად. განზრახულია აგრეთვე მანუფაქტურის, ქვამარილის, ჩაის, საპნის, ლურსმანის შესაძენად. შემდეგ მომხსენებელი ეხება სავაჭრო დარგის მუშაობას.

საბჭოთა სასამართლო

პ. კუპრეიშვილის საქმე

ბრალდებული პ. კუპრეიშვილის საქმის გარჩევა, რომელიც დანიშნული იყო 9 აგვისტოს შაბათისათვის, მოწმეთა დაუსწრებლობის გამო, გადაიდო. სხდომის დღე ჯერ არ არის გამოცხადებული.

სატყეო ტრესტის („გრუზოლეს“-ის) ხელმძღვანელთა საქმე

ა|წ. 13 აგვისტოს აღმოსავლეთ საქ. ოლქის სასამართლოში გაირჩევა სატყეო ტრესტის „საქართველოს „ტყე“-ს („გრუზოლეს“-ის) გამგის— კონსტანტინე თელიას და ამავე დაწესებულების თანამშრომელთა —სტეფანე არუთინოვის, ბარსეღ ჯეირანოვის და ალექსანდრე ოსეფიანცის საქმე. ტრესტის გამგეს კ. თელიას ბრალად ედება ს. ს. კ-ის 108 მუხ. მე-2 ნაწ. და 131 ხოლო დანარჩენი —112 და 108 მუხლებში გათვალისწინებული თანამდებობითი ბოროტმოქმედებანი. საბრალმდებლო დასკვნაში აღნიშნულია, რომ დასახელებულნი პირნი თავის მოვალეობათა შესრულებაში იჩენდენ საქმისათვის მავნე დაუდევრობას, მათზე დაკისრებულ რთულ საქმეს ასრულებდენ შინაურული წესით და უპასუხისმგებლოთ, ერთმანეთს და თავის თანამშრომლებს არ უწევდენ არავითარ კანტროლს და სხვა. ქონებრივი ზიანი ან მისი რაოდენობა საბრალმდებლო დასკვნაში განსაზღვრული არ არის.

საქმე გაირჩევა ოლქის სასამართლოს წევრის ბურკაძის თავმჯდომარეობით და პროკურორის თანაშემწე დიდებულიძის მონაწილეობით. ტრესტის გამგეს თელიას იცავს დამცველი მ. ლევამიჩავა, ჯეირანოვს და არუთიუნოვს—დამცველი გ. ჩაჩიბაია, ოსეფიანცს — დამცველი ქართველიშვილი.

გ. დავთლიანის საქმე

ალმ. საქ. ოლქის სასამართლომ შომახიან თავმჯდომარეობით გაარჩია ქ. სურამის მოქალაქე გიორგი დავთლიანის საქმე. ბრალდებულს დავთლიანს,—ქუდის მკერავ ხელოსანს, თავის სახლში შეუტყუებია ჩეპონკუსის ცხრა წლის ქალიშვილი და გაუპატიურებია იგი (ფიზიკურ ზიანის მიუყენებლად). რამოდენიმე ხნის შემდეგ ბავშვს აღმოაჩნდა ვენერიული ავადმყოფობა (ტრიპერი). ბრალდებულმა აღიარა თავისი დანაშაული წინასწარ გამოძიებაზე, მაგრამ განაცხადა, რომ ბოროტმოქმედების დროს ის დარწმუნებული იყო, რომ ვენერიულ ავადმყოფობისაგან ის განკურნებული იყო ხანგრძლივ ექიმობის შემდეგ. სასამართლოს ძიებამაც დაამტკიცა, რომ ბავშვის დასნეულება არ მომხდარა ბრალდებულის წინასწარი შეგნობით. თანახმად ს. ს. კ-ის 13 და 171 მუხლებისა, ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით სასტიკი იზოლაციით. ამნისტიების შეფარდების გამო სასჯელის ვადა ბრალდებულს შეუმცირდა 2 წელ. 2 თვე და 20 დღემდე.

მოსალოდნელი ომის საშინელებანი

დღეს, 12 აგვისტოს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში ლენინგრადიდან ჩამოსული ლექტორი გ. ს. ტურჩანინოვი წაიკითხავს საჯარო მოხსენებას სამხედრო-მეცნიერულ აზროვნების უკანასკნელ მიღწევებზე ევროპასა და ამერიკაში.

1914—1918 წლის მონობის შემდეგ ომის წარმოების სფეროში მოხდა სრული გადატრიალება, დასავლეთ ევროპის და ამერიკის ლაბორატორიებში სწარმოებს გამუდმებული, შეუწყვეტელი მუშაობა, რომლის შედეგებიც დიდი გულმოდგინებით საიდუმლოდ ინახება, მაგრამ ის, რაც ცნობილია, გვიხატავს განსაცვიფრებელ სურათს.

სამხედრო ქიმიის მიღწევები და მათეიუსის ჯერ კიდევ ნახევრად ფანტასტიური სხივები, რომელსაც მისი საშინელი მოქმედებისათვის დაერქვა „სიკვდილის სხივები“,—თითქმის დაწვრილებით გვიხატავენ იმ გიგანტიურ სურათს კაცობრიობის ბრძოლისას მარსის მცხოვრებლებთან, რომელიც აწერილი აქვს ინგლისელ მწერალს უელსს—თავის რომანში „მსოფლიოთა ბრძოლა“. მოსალოდნელი ომის თავისებურება არის თითქმის მთელი მოსახლეობის მონაწილეობა ბრძოლაში და ფრონტების სრული უქონლობა, რადგან მთელი ქვეყანა ხდება სამხედრო მოქმედებათა თეატრად. ლექციას თან ახლავს ინგლისელ, ფრანგულ და ამერიკულ სურათების მრავალი სერია, რომელიც ნათელჰყოფს მოსალოდნელი ომის საშინელებებს ევროპაში. სურათებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს მოსკოვის, ლენინგრადის ხარკოვის და სხვა ქალაქების მრავალრიცხოვან აუდიტორიებში.

ქრონიკა

— **„შახსეი-ვახსეის“ დღესასწაულის გამო.** ქალაქ თბილისის მუსულმანური მოსახლეობის დადგენილების თანახმად (ა—წ. 27 ივლისის თარიღით) გაუქმებულია რელიგიოზური პროცესიები და დემონსტრაციები „მაგარამის“ დღეებში და ა|წლის 12 აგვისტოს აშურის („შახსეი ვახსეის“) დღეს არავითარი სვლელობა და შეკრებულება არ მოხდება მუსულმანურ სასაფლაოზე.

— **ამიერ-კავკასია კელნის ბაზრობაზე.** ამ.-კავკ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო მოწვევა გერმანიიდან კელნის ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებათ.

— **სახ. განათლების დაწესებულებების დათვალიერება.** მუშათა და გლეხთა ინსპექციის კულტ-განმანათლებელმა სექციამ დაათვალიერა სახალხო განათლების კომისარიატის დაწესებულებები და გამოტანილი დადგენილებები გადაეცა სახ. განათლების კომისარიატს.

— **მთვარის დაბნელება.** 14 აგვისტოს მოხდება მთვარის დაბნელება. დაბნელება დაიწყება 10 საათზე და 30 წუთზე.

— **ქუჩების გაფართოება.** ქ. აღმასკომმა დაამტკიცა ინჟინერ ქურდიანის პროექტი ქუჩების გაფართოვების შესახებ.

— **საბინაო ამხანაგობა.** ქ. აღმასკომის უძრავ ქონების სამმართველომ გადასწყვიტა მიიღოს სათანადო ზომები საბინაო ამხანაგობის საორგანიზაციო საქმის გასაუმჯობესებლად.

— **„გოგილოს“ აბანო.** ქ. აღმასკომის კომუნ. განყოფილება შეუდგა ავლაბარში არსებულ „გოგილო“-ს აბანოს შეკეთებას.

— **საეკლესიო შენობები.** ქ. აღმასკომის კეთილ მოწყობის სექციამ საეკლესიო შენობების მისაღებათ და კამგებლობისთვის მოიწვია შვიდი კომენდანტი.

— **მტკიცე ფასები პურზე.** ოზურგეთის აღმასკომმა გამოიმუშავა მტკიცე ფასები პურზე, რომელიც გატარდება ცხოვრებაში.

— **მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვა.** ცეკავშირმა შეიმუშავა კოოპერატივების მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვის გეგმა და დაუგზავნა თავის წარმომადგენლებს მაზრებში სახელმძღვანელოდ.

— **ციებ-ცხელებასთან ბრძოლა.** მოსკოვიდან მიღებულია ციებ-ცხელებასთან საბრძოლველად 30 კილო ქინაქია.

— **ბამბის გასაწმენდი ქარხანა.** ცეკავშირი შეუდგა ყარაიაზში ბამბის გასაწმენდ ქარხნის აგებას.

— **გორის აღსადგენათ.** გორის აღსადგენ ფონდის გასაძლიერებლად ცეკავშირმა გადასდო 500 მან.

— **საბავშვო სახლი საჩხერეში.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა საჩხერეში გახსნას საბავშვო სახლი.

— **შეცდომის გასწორება.** კორექტორების დაუდევრობით, ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში შემდეგი სამწუხარო შეცდომები გაიპარა: წერილი „არაზინდოლ“ ხელმოწერილია ლ. ქელბაქიანის მიერ, უნდა იყოს ლ. **ელბაქიანი.** სათაური დეპეშის—დამოკიდებულება იაპონიასთან, რაც არ არის საჭირო, წინწკლებშია მოთავსებული; წინწკლებში მოთავსებული უნდა იყოს სიტყვა **დემოკრატიული**, შემდეგი დეპეშის სათაურში.

მიღებულია ზომები, რომ შეცდომები მომავალში არ განმეორდეს.

შემთხვევები

— **თვითმკვლელობა.** 5 აგვისტოს სოფ. ნახშირგორაში მოქ. მაკა კვალიაშვილმა თავი ჩამოიღრჩო. მიზეზი თვითმკვლელობისა გამოურკვეველია.

— **ქურდების დაჭერა.** 7 აგვისტოს (თელავის ქ. № 20) გაქურდეს ალექსანდრე კვრივიშვილის ბინა. ბინის გამქურდველნი მარიამ ვართანოვი და ამბარცუმ ზევორკოვი შეიპყრეს.

— **ბინის გაქურდვა.** 8 აგვისტოს (ტრამვაის ქ. № 4) გაქურდეს ივანე კუტაიძის ბინა. წაიღეს 200 მან. ნივთები.

— **დაჭრა.** 8 აგვისტოს, ტროცკის ქ. № 11, თვითმკვლელობის მიზნით ნინა ბელინმა რევოლვერით მძიმედ დაიჭრა თავი. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

— **გვამის პოვნა.** მე-8 სამილიციო რაიონში მტკვრის ნაპირზე იპოვეს თადეოზ მირზოიანის გვამი.

— **სიმულიაცია.** ვიქტორინა მიხელსონმა სისხლის სამართლის მილიციაში სახაზინო ფულის 500 მან. გადამალვის მიზნით განაცხადა, რომ მას აღნიშნული ფული მადათოვის კუნძულზე წაართვეს ბოროტ-მოქმედებმა. სისხლის სამართლის მილიციამ სიმულიანტი შეიპყრო.

წყალსადენი განაპირა უბნებში

უკანასკნელ დრომდე თბილისის განაპირა უბნებში არ იყო გაყვანილი წყალსადენი, რის გამოც მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიდენ.

ქალაქის აღმასკომმა გადასწყვიტა ამ გარემოებას ბოლო მოუღოს და ამ მიზნით გაიყვანოს წყალსადენი უწყლო უბნებშიც.

აღმასკომს ქალაქის ხარჯზე გაჰყავს ქუჩის მაგისტრალი, ხოლო კერძო სახლებში კი აბონენტთა ხარჯზე.

განაპირა უბნების ხანძარისაგან უზრუნველსაყოფად, ქალაქის აღმასკომი მაგისტრალის თვითეულ 50 საჟენზე დასდგამს სახანძრო ონკანს.

შეღავათები.

თავის სახლში წყალსადენის გაყვანის მსურველთ ენიჭებათ შესამჩნევი შეღავათები წყლის გაყვანის წინანდელ პირობებთან შედარებით.

აბონენტი წყლის გასაყვან ხარჯებს იხდის დროგამოშვებით დანიშნულ ვადაზე. მაგ. თუ წყალსადენის გაყვანა ამა თუ იმ სახლში დაჯდება 100 მანეთი, აბონენტი ავანსად გადაიხდის მხოლოდ ერთ თუმანს, დანარჩენ თანხას გაისტუმრებს ერთი წლის განმავლობაში. გარდა ამისა უკვე საჭირო აღარ არის ყოველმა სახლმა თავის ხარჯით შეიძინოს წყალთსაზომი. წყალსადენის განყოფილებას აქვს ე. წ. წყალთსაზომის ფონდი, რომლიდგანაც წყალსადენის განყოფილება სდგამს ცალკე სახლებში წყალთაზომებს მათი სარგებლობისათვის. მდგმურებს ხდებათ წყლის ფასის საერთო რაოდენობის 10 პროცენტი ფონდის გასადიდებლად აღმასკომმა მოსკოვში შეუკვეთა 1000 წყალსაზომი, რომელთაც ქალაქი მოკლე ხანში მიიღებს.

შესრულებული მუშაობა.

დღემდე გაყვანილია ქუჩის მაგისტრალის 800 საჟენი, წყალსადენი გაყვანილია 100 სახლში.

შემოსულია 100-მდე განცხადება წყლის გაყვანის მსურველთაგან.

განზრახულია, ამ მოკლე ხანში გაყვანილ იქნეს მაგისტრალი საბურთალოში, ვაკეზე, ავლაბარში და სხვაგან დაახლოვებით 1200 საჟ. სიგრძის ქუჩის მაგისტრალი.

ამ მიზნის განსახორციელებლად თავის დროზე შეკვეთილი იყო რკინის და თუჯის მილები. რკინის მილები უკვე მიღებულია და დღეს გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.

ქალაქის აღმასკომი შეუთანხმდა ახლად გაშენებულ მუშათა უბნებს ამ საკითხის შესახებ. ამ უბნებში წყალსადენი გაყვანილი იქნება წინასწარ გამომუშავებული და შეთანხმებით გათვალისწინებული გეგმის თანახმად.

ქალაქის აღმასკომს განზრახული სამუშაო დაუჯდება 40.000 მანეთი.

7 და 4 წლიანი შრომის სკოლები

(განათლების კომისარიატის საყურადღებოდ)

7 წლ. და 4 წლ. შრომის სკოლები.

როგორც ვიცით, როდესაც ბავშვი დაასრულებდა შრომის სკოლას, გადმოდიოდა მთლიან შრომის სკოლის პირველ კლასში. ზემოხსენებულ სასწავლებელთა ტიპი, პროგრამათა შეცვლის გამო, შეიცვალა. დღეს ყოფ. შრომის სკოლა 4 წლედია, მთლიანი შრომის სკოლა კი—შვიდწლედი. უკანასკნელთან არსებობს ეგრედწოდებული 0 ჯგუფი (სულ 7 წლედში 8 ჯგუფია), რომელიც უნდა ატარებდეს საბავშვო ბაღის სახეს.

სოფელ-დაბების სკოლები, შედარებით ქალაქის სკოლებთან, მეტად ჩამოქვეითებულია. სწორეთ ამით აიხსნება, რომ სოფლის 7 წლ. 0 ჯგუფი ფაქტიურად იგივეა, რაც 4 წლ. პირველი ჯგუფი. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ 4 წლ. კურსდამთავრებული მიღებულ იქნეს 7 წლ. 5 ჯგუფში. ასეთი ბავშვის ადგილი უეჭველად 7 წლ. 4 ჯგუფია. ძალიან კარგი იქნებოდა სწავლის დაწყებისას 4 წლ. უკანასკნელი ჯგუფი დარჩენილიყო იმავე 4 წლედში და გაევლო 7 წლ. 4 ჯგუფის კურსი და თუ ეს მოუხერხებელი ან მიზანშეუწონელი იქნება, მაშინ, კიდევ ვიმეორებ, 4 წლედიდან შვიდწლედში ბავშვი უნდა შემოვიდეს 4 ჯგუფში. რომ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლებში რაიმე გაუგებრობა არ გამოიწვიოს ამ საკითხმა, საჭიროა მასზე რაც შეიძლება გარკვეული პასუხი მოგვცეს სახალხო განათლების კომისარიატმა.

დ. თ—შვილი.

პროვინციაში

ნორიოს თემში საჭიროა საექიმო პუნქტი

ნორიოს თემი, რომელშიაც შედის 5 სოფელი, მიუხედავათ თბილისთან სიახლოვისა, მეტად ჩამორჩენილია. ისევ ძველი ზნე-ჩვეულებანი მეფობენ. ეს ითქმის ცხოვრების ყოველ მხარეზე. ნორიოში დიდი გასავალი აქვს ავადმყოფობის დროს შელოცვას და ექიმის ნაცვლად დალაქის რჩევის მიხედვით ავადმყოფის მოვლას. ეს ხდება ერთის მხრით თემის კულტურულ ჩამორჩენილობით და მეორე მხრით აქ, ნორიოში საექიმო პუნქტის უქონლობით. წყეულ რეაქციის ბატონობის დროს ნაკლებათ იწუხებდენ თავს ხალხის ჯანმრთელობაზე, და, რაც უფრო შეუგნებელი იყო ხალხი, მით უფრო კარგათ აძრობდენ მას ტყავს. დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უკულტურობასთან ბრძოლას. ამის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საექიმო დახმარება.

საექიმო პუნქტი არსებობს სოფ. მარტყოფში, რომელიც ნორიოს თემის ზოგიერთ სოფელზე დაშორებულია 8—10 ვერსით. გლეხს, თუნდაც რომ უნდოდეს ექიმის დახმარებისათვის მიმართვა, მაინც ვერ ახერხებს. ორივე თემში იქნება არა ნაკლებ 8,500 სულისა და ამ ხალხიდან გამომდინარე ავადმყოფობას უნდა უპატრონოს ერთმა ექიმმა, რაც ფიზიკურათ თითქმის შეუძლებელია. გალითად რომელიმე ღარიბ გლ[illegible] გაუხდა ავად შვილი ან დედა, ა[illegible]მყოფს არ შეუძლია სიარული ან მით და ცხენით მგზავრობა. ექიმი ავადმყოფი უნდა ინახულოს ადგილობრივ; მაშასადამე ღარიბი გლეხი, რომელსაც არც ცხენი ყავს და არც სხვა რაიმე გადასაზიდი საშუალება, იძულებულია დაიქირაოს ცხენი და მიუყვანოს ექიმს, რომელიც ამბულატორიის ავადმყოფებს იღებს დღის 2—3 საათამდე. შემდეგ კი უნდა წაყვეს გლეხს, ისიც მორიგეობით; პირველათ მას გაყვება, ვინც ადრე მიიყვანს ცხენს. ექიმი გამოუწერს ავადმყოფს წამლებს და მძიმე ავადმყოფმა წამლის მიღება კიდევ უნდა უცადოს მეორე დღემდე, ვინაიდან აფთიაქი სამ საათზე იკეტება. ამ რიგათ ნორიოს თემის გლეხობა განიცდის დიდ გაჭირვებას.

უკანასკნელ 1924 წლის აღწერის მიხედვით, ნორიოს თემის მცხოვრებთა რაოდენობა 3,500 სულს აღემატება და ჩემის აზრით აუცილებელი საჭიროა თემის ცენტრში—ნორიოში დაარსებულ იქნას საექიმო პუნქტი.

საჭირო ბინის შოვნა აქ არ გაძნელდება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება სათანადო სიფხიზლეს და უნარს გამოიჩენს.

მელიტონ მამალაძე.

მეაბრეშუმეთა უკმაყოფილება

(წერილი ახალ-სენაკიდან)

მიმდინარე წელს მთელი მშრომელი ხალხი, განურჩევლად სქესისა, აღტაცებით ელოდა აბრეშუმის თესლეულობის მიღებას და როდესაც მოტანილ იქნა 14000 კოლოფი, ერთი ცალიც არ დარჩენილა,—ყველა გაიტაცეს და მუშაობას მიჰყვეს ხელი; პირველ ხანებში ამინდმაც ხელი შეუწყო და აბრეშუმის პიების მდგომარეობა საუცხოვო იყო, მეაბრეშუმეთ არ ეყოთ თავის ბჟოლის ხეების ფოთლები და იძულებულნი გახდნენ ეყიდათ ფოთოლი; თითოეულ ოჯახს, საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, ექნება ნაყიდი 7—8 მანეთისა; იმ ხანებში ჩვენში გვალვები დადგა, რამაც ცუდათ იმოქმედა პიებზე, მაგრამ მოსავალი მაინც საშუალოზე უკეთესი მოვიდა, ასე რომ მთელ მაზრაში მოვიდა 24 ათასამდე ფუთი პარკი.

უკანასკნელ ხანებშიც რომ ამინდი არ გაფუჭებულიყო, პარკის მოსავალი იქნებოდა არა ნაკლები 50 ათასი ფუთისა. რამ შეუწყო ხელი ასეთს მოსავალს რასაკვირველია, მთავრობამ, თესლეულობის დროზე მიწოდებით; მაგრამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეაბრეშუმეთა ენერგიულ და დაუღალავ შრომას.

მოსავლის მოწევის შემდეგ მეაბრეშუმეებმა თავისი ურმებით ჩამოზიდეს პარკი და ჩააბარეს „ეპოების“ საწყობებს იმ იმედით, რომ მიიღონ ნაშრომის სასყიდელი, მაგრამ სინამდვილეში ეპოებმა, (ცეკავშირის განკარგულების თანახმად, მეაბრეშუმენი გაისტუმრეს დაპირებით—ორ-სამ კვირაში ყველაფერს მიიღებთო. დაპირების მოსმენა მძიმე იყო, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ზოგიერთი კი თავის თავს შესჩიოდა: უკეთესი არ იქნებოდა სულაც არ მომეტანა; 10—15 ვერსი გავაკეთე ამ სიცხეში და კიდევ ვინ იცის რამდენჯერ უნდა ჩამოვიდეთ... [illegible] ეტყობოდა ყველას. ურ[illegible] კვირაც, ერთი დღიღებს ჯერ-ჯერობით არა[illegible] ამ დღეებში ეპოებმა [illegible] რომ ცეკავშირი ამ ჟამ[illegible] ავანსად 10 მანეთს [illegible] რომ გაიგეს მახლობელ[illegible] ლებმა, ალყა შემოარტყე[illegible] ტივებს, გაისმოდა მი[illegible] ყოუმანი, რად გვინდა 10 [illegible] გვირჩევნია სულაც არ მივი[illegible] ათი მანეთის მარტო ფოთლები გვაქ[illegible] ნაყიდი, ჩვენი შრომა რომ არ ვიანგარიშოთო.

კოოპერატივებში მომუშავე ამხანაგები უხსნიან მეაბრეშუმეთ, რომ 10 მანეთი არის ავანსი, შემდეგ დივიდენდსაც მიიღებენ, მაგრამ ხალხი მაინც უკმაყოფილოა. საჭიროა, რომ ცეკავშირმა მიიღოს ზომები ამ უკმაყოფილების მოსასპობათ.

ე. შალ—ძე.

სოფ. ქვიანი (ნიგოითის თემი)

ამ სოფელში არსებობს 4 წლედი სკოლა, კოოპერატივი და ერთი სამკითხველო, რომელიც წინედ უფრო, მდიდარი იყო როგორც წიგნებით ისე ჟურნალ-გაზეთებითაც.

მთელი წელი მოსდიოდა გაზეთები სამაზრო პოლიტგანათლების ანგარიშზე, მაგრამ ეხლა აღარ მოსდის, ალბად მიტომ, რომ ექსპედიციის მიერ გამოგზავნილი გაზეთი დანიშნულებამდე ვერ აღწევდა და ერთ ვინმეს მიქონდა თავისთვის. წიგნები აქ ნაკლებათაა, რაც იყო ძველი, ვინ იცის ვინ წაიღო, ახალი ლიტერატურა-კი გამგეობამ უსახსრობის გამო ვერ შეიძინა და პოლიტგანათლება კი ძლიერ ცოტას აგზავნის.

არსებობს აქ სახალხო სახლი, რომლის აშენებაც ჯერ კიდევ 1918 წელში დაიწყეს, მაგრამ დამთავრებული დღესაც არ არის.

საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ენერგიულად მოჰკიდეს ხელი მცხოვრებლებმა ამ სახლის აშენებას. მიიღეს დახმარება როგორც ფულით, ისე უფასო ხე-ტყის მასალით, შეძენილია ქვის მასალა და კრამიტიც. ნაწილი სახლისა უკვე აშენებულია, მაგრამ მუშაობა დიდი ხანია შეჩერდა, საშუალებათა უქონლობის გამო.

არსებობს აქ დრამატიული დასი, რომელიც ხშირად მართავს წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნით, მაგრამ აქ ერთ გარემოებას უნდა გავუსვას ხაზი, რამდენჯერ არ გამართულა აქ დიდი სეირნობა—ალეგრო-წარმოდგენა, დიდძალი ფულიც შემოსულა, და რაში იხარჯება ეს ფული, ვის მიაქვს—ეს არ სჩანს. იქნება ვინმეს კიდევ შერჩენია ძველი ჩვეულება, რომ ხალხის ქონება ფლანგოს და პასუხი არ აგოს.

სოფელს ჰყავს ფერშალი, ამ ჟამად აქ ექიმიც იმყოფება, რომელიც აწვდის საექიმო დახმარებას ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთ. ამ სოფელში დიდი ხანია უნდა გახსნილიყო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომლის გახსნას როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ისე გარშემო მდებარე სოფლებიც მოუთმენლად ელოდენ. აქ საამისო შენობაც არის და პირობებიც, მაგრამ სკოლის გახსნაზე ჯერ არა ისმის რა.

აქ გადმოდის გზა, რომლის მთავარ გზათ დამტკიცების შესახებ დიდი ხანია იყო ლაპარაკი; 1921 წელში ამ გზაზე იყო გამოგზავნილი ინჟინერები და მუშაობაც სწარმოებდა—მაგრამ ჯერაც დასრულებელი არ არის. ეს გზა გადის გურიის ცენტრში და ბახმაროზე მიმავალ გზას უერთდება.

რაც შეეხება რკინის გზის ბაქანს, აქ არ არის შენობა, რომ წვიმაში სოფლიდან ჩამოსულმა მგზავრმა თავი შეაფაროს. თუ გაივლით ამ ბაქანზე, გაიგონებთ გლეხების ბაასს:

— „წინად კნიაზებმა—მაჭუტაძეებმა წაიღეს თავის სახლისაკენ სადგური—და ეხლა კიდევ სხვა გვართმევსო“-ო. გლეხობა მოითხოვს აქ სადგურის აგებას, რაც კიდეც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ საქმე დროებით შეჩერებულია უსახსრობის გამო.

საჭიროა რათა რკინის გზის სამმართველომ გასცეს განკარგულება, რათა აქ ჩერდებოდეს საფოსტო მატარებლები, რომ 20—25 ვერსის სიშორიდან ჩამოსულ დაქანცულ მგზავრს აქ შეეძლოს მატარებელში ჩაჯდომა და არ მოუხდეს დამატებით ნიგოითის სადგურამდე ფეხით სიარული. ამ ჟამად აქ ჩერდება მხოლოდ საგარაკო მატარებელი, რომელიც დადის ღამით სამტრედიამდე.

ლია.

საყულიის თემი (ქუთაისის მაზრა)

სოფ. საყულიაში და ოფშკვითში შენდება 7 წლიანი შრომის სკოლებისათვის შესაფერი აგურის შენობები. წინასწარი ნაბიჯები უკვე გადადგმულია: 1) გაწერილია თემის მცხოვრებლებზე 5,000 მანეთი, რომელიც უკვე იკრიფება, 2) დაწყებულია ადგილობრივ აგურის დამზადება (დღეში მზადდება 2,000 (ც. აგური), 3) ამ დღეებში მოეწყობა „მარსელის“ კრამიტის მოსაჭრე ქარხანა (ყოველივე იარაღები შეძენილია), 4) ქვაკირი და სილა ნაშოვნია. რასაკვირველია, ზემოაღნიშნული ხალხზე გაწერილი თანხა ვერ მოათავებს დაწყებულ საქმეს. ამიტომ თემის საბჭოს და მცხოვრებლების დავალებით მივმართავთ ყველას, ვისაც გული შესტკივა ასეთ მნიშვნელოვან საქმისათვის, გაიღოთ შესაფერი წვლილი საყულიის და ოფშკვითის სკოლების სასარგებლოდ.

შემოწირულება, რამდენიც და რითაც არ უნდა იყოს, მიიღება ქალ. ქუთაისის კომ. მეურ. პროფკავშირის პასუხისმგებელ მდივან გიორგი გულივერდაშვილის და საყულიის თემის საბჭოს თავმჯდომარის ელად. სვიმონის სახელზე. შემომწირველთა სახელი და გვარი და შემოწირულების რაოდენობა გამოცხადებული იქნება.

ვახალ მიქაბაძე.

მუშათა ცხოვრება

ბრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკაში

ალინიშნულ ფაბრიკაში მუშაობს 120 მუშა, რომლებიც წარმოების განვითარებას და მუშაობის ინტენსივობას დიდ ყურადღებას აქცევენ. ფაბრიკის ნაწარმოებებზე ამ ჟამად დიდი მოთხოვნილებაა, რისთვისაც ადგილობრივი მუშები აზრს გამოსთქვამენ ფაბრიკის წარმოების გაფართოების შესახებ.

მუშათა შორის სხვა და სხვა ხასიათის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით ალსანიშნავია კულტმუშაობა. მუშები დიდ ყურადღებას აქცევენ გაზეთების გამოწერას, რაც იმით აიხსნება, რომ რამდენიმე თვის წინეთ ისინი იღებდენ 27 ცალ გაზეთს და ახლა 86 ცალს, ე. ი. 300 პროც. მეტს, ვიდრე უწინ.

ფაბრიკაში არც პოლიტიკური მუშაობა მოისუსტებს. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეში მეცადინეობა ვად მიმდინარეობდა. წრე უკვე თავრა 32 ამხანაგმა, რომელთა- 8 გადაიგზავნა პარტ-სკოლაში.

დგილობრივი საფაბრიკო კომიტეტიც აქ კარგად მუშაობს. მას მუ ემადლიერებიან, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამას წინად საერთო კრებაზე, ფაბკომის სამნახევარ თვის მუშაობის შესახებ მოხსენება მუშათა საერთო კრებამ მოიწონა და ძველი საფაბრიკო კომიტეტი, როგორც კარგად მომუშავე, მთელი ძველი შემადგენლობით დასტოვა.

ინფ. მიშა.

სახლში სტუმრები ელიან

31 ივლისს, ჩვენ, სადგურის გორის მუშებმა დავიწყეთ მუშაობა ჩვეულებრივ; 8 საათის განმავლობაში, გვაქვს დაკანონებული ნახევარი საათი დასვენება პურის საჭმელად. სად. გორის მოხელემ, მწონავმა აგვიგრძალა [illegible] პური. ჩვენ ეს ბრძა[illegible] [illegible]ეთ და დავიწყეთ [illegible] გაბრაზებულმა პური [illegible]ლიჯა. მიზეზი კი [illegible] 9 აგვისა იყო სულ უბრა[illegible] [illegible]ბინება საბოთ ექხარებოდა სახლ[illegible] [illegible]ევის შესახ სტუმრებთან მისულიყო [illegible] წარმომადგენლობა მოხელეს მუშებთან [illegible] ჰქონდეს, იგი გაუმას[illegible] [illegible]ევის სტუმრებს.

შავ. სოფლელი.

სწორედ უკანონობაა

(რკ. გზ. საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

ქალ. თბილისის დეპოს მემანქანეს თანაშემწეები გამოსთქვამენ თავის ლისტ[illegible]ლს იმის გამო, რომ რ სამი-ოთხი თვე იქნება მას შემ- რაც რომ დეპოს ზეინკლები გა- ით ორთქლმავალზე მემანქანის ნაშემწის თანამდებობაზე, რაზე- სათანადო მოწმობებიც გვაქვს. რამ აქ რალაც დაუდევრობას აქვს გილი. წინედ ესე იყო: უკვე თუ თქლმავალზე გაიგზავნებოდა ვინმე ანაშემწედ, ის ღებულობდა მეთერთმეტე ხარისხით ჯამაგირს, ეხლა კი ოგი თანაშემწეები ღებულობენ თერთმეტი და ზოგი კი რვა ხარისხით. აი აქ არის ჩვენი გულის სატკივარი. თი და იმავე მოვალეობას ვასრუ- ბთ ორთქლმავალზე და ასეთი ხვავება არის. ასეთმა უკანონობამ უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენ მივმართეთ ამავე დეპოს ად- კომს, მაგრამ ამაოდ. თვითონ ილკომმა უარით გამოგვისტუმრა: შავეთ ისე, და თუ არ გინდათ, თავი და თქვენს მაგიერ ებაო". ნუ თუ მუშების ინტე- ადგილკომი ასე უნდა იცავ- შემფასებელ-საკონფლიქტო კო- იაც ყურს არ იბერტყავს. რაშია აქმე? ნუ თუ ასეთი საქციელი მუშე- ის მიმართ დასაშვები არის? იმედია მიექცევა ამას ჯეროვანი ყურადღება და დაკმაყოფილებული იქნება მუშათა კანონიერი მოთხოვნილებები.

მუშკორი კოჟ-უხი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ

რკინისგზის მთავარ სახელოსნოში ხშირად გამიგონია მუშებისაგან, რომ წინედ მთავარ სახელოსნოს ჰყავდა ერთი უფროსი და ერთიც თანაშემწე დღეს კი 5-მდის თანაშემწე. ძველად 3000 კაცზე მეტი მუშაობდა ახლა კი 2.500-იც არ იქნება. აგრეთვე არის ზოგიერთ სხვა საამქროებში. აი მაგალითიც: მექვაბეთა საამქროში წინედ მუშაობდა 400 კაცამდის და ჰყავდათ ერთი ოსტატი და მისი თანაშემწე და მონტიორი, ეხლა კი არის „მასტერი", ორი თანაშემწე, ორი მანტიორი და ერთიც ტეხნიკი. მუშები ამბობენ: ჩვენც ხომ სრულუფლებიანი მოქალაქენი ვართ და პატრონი ჩვენივე ნაწარმოების, რატომ არ უნდა ვიცოდეთ, თუ რა იხარჯებოდა მაშინ ადმინისტრაციაზედ ყოველნაირი ჯილდო და ჯამაგირის სახით ან რა იხარჯება ახლა, ან რამდენად აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენენ ასეთი გამრავლებული თანაშემწენი. იქნება იმდენი აღარ კეთდება საქმე, რაც წინედ კეთდებოდა. ვხედავთ, რომ ახლა მეტი კეთდება ნაკლები მუშების რიცხვით, თუ მუშათა რიცხვმა იკლო, რატომ გამრავლდნენ ე. წ. „სპეცები". საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

მუშა ნესტორიძე.

რას ჰგავს ეს?

(თბილისის მილიციის უფროსის ამხ. ხმალაძის საყურადღებოდ).

მე-10 რაიონში ძალიან გამრავლებულია **როსკიპი ქალები**, რომლებიც ქუჩა-ქუჩა დადიან და ათას სიბინძურეს და ავადმყოფობას ავრცელებენ. ადგილობრივი მილიცია, როგორც გავიგე, ბრძოლას აწარმოებს ასეთ ქალების მოსასპობად, მაგრამ ზოგიერთი მისი თანამშრომელი უშლის მას ხელს. მაგალითათ: რამდენჯერ მსმენია მოქალაქე **ჟორდანიაზე** მე-10 უბნის კომისრის თანაშემწეზე, რომ იგი თუ მას თვალში მოუვიდა ქალი, დიდ მფარველობას უჩენს ასეთებს. 30 ივლისს სასეირნო ბაღ „არტო"-ში მოგროვილიყვნენ ბევრი ასეთი საეჭვო ქალები, რომელნიც თავისი თამამი მოქცევით მოსეირნეთა ყურადღებას იპყრობდნენ. აქვე ბრძანდებოდა მოქალაქე ჟორდანიაც. როდესაც მას მიმართეს და მიუთითეს ამ ქალებზე, რომელთა თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა, მან ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ—იმის მაგივრათ, რომ მოეცილებინა ასეთი ქალები, თითონვე დაიწყო მათთან სეირნობა. რას ჰგავს ეს?

მუშკორი კ. ბ—შვილი.

რკინისგზელებში

შეაკეთეთ ბაქანი

(რკ. გზ. სამმართველოს საყურადღებოდ)

ქვიშხეთის ბაქანი, რომელიც მისვლა-მოსვლისთვის დიდს საჭიროებას წარმოადგენს, მით უმეტეს ზაფხულის პერიოდში, ზაფხულობით აქ აუარებელი მოაგარაკეები მიდი-მოდიან და წვიმის დროს ვერ შეუფარებიათ თავი ბაქანში, ვინაიდან სახურავი დაზიანებულია და გვერდებიდან ფიცრები გამოგლეჯილი. შეაკეთეთ, სანამ სრულიად დაირღვეოდეს.

ინფ. კოპ—ძე.

მიაქციეთ ყურადღება

(რკ. გზ. სამმართველოს საყურადღებოდ).

ორ წელზე მეტია, რაც სადგურ სკრას პირდაპირ ყრია ცის-ქვეშ რკინის ხიდის მოწყობილობანი რკინის ბოძებით, რომელსაც უპატრონობა ეტყობა. ეს მასალა წვიმის გამო დაჟანგულია. საინტერესოა, ასეთ ძვირფასი მასალა, რომელიც დიდსაგრძნობ თანხას წარმოადგენს, რისთვისაა უპატრონოდ მიტოვებული?!

ინფ. კოპ—ძე.

გამოასწორეთ ეს ნაკლიც

(რკ. გზის საუბ. კავშირის საყურადღებოდ).

ბევრი ნაკლი აღინიშნა „ზაკტეპეოს" დუქნებზე, რამაც საშვალება მისცა „ზაკტეპეოს" გამგეობას ყველა ნაკლი გამოესწორებინა. მაგრამ ერთის მოწესრიგება მან ვერ მოახერხა. ვაგზლის ქუჩაზე არის პატარა განყოფილება—ხორცეულის დუქნის, სადაც მსახურობს ერთგული და თავდადებული მუშაკი, თავის მოპყრობით თავაზიანი მუშა-მოსამსახურეებისადმი, ვასო ჩიხაშვილი. ეს განყოფილება უფრო მრავალჯერ ცარიელია, ხორცეულით დროზე მას არ ამარაგებენ; მოაქვთ გვიან, დღის 12 საათზე, რის გამო ხორცი მეორე დღისთვის ძველდება უკვე, რა სარგებლობა აქვს ასეთი დუქნიდან „ზაკტეპეოს"? არაეითარი. მიაქციეთ ყურადღება, მომარაგეთ დროზე ახალი, მსუქანი ხორცით. ცოტა ხნის შემდეგ დაინახავთ. რომ არც-ერთი მუშა-მოსამსახურე აღარ წავა კერძო ვაჭართან.

ინფ. კოპ—ძე

რკინისგზელთა ქრონიკა

— **უმუშევრების დაკმაყოფილება.** თანახმად საქართველოს მკერავთა კავშირის მოთხოვნილებისა, ა | კ. დამზღ. სალარომ დაადგინა მოთხოვნილებისამებრ გაეცეს ხელფასი ცემის სანატორიუმში მოთავსებულ ავადმყოფ რკინისგზელთა საცვლების დამამზადებელ მკერვალებს.

— **დაზღვევის გადასახადებისათვის.** იმავე სალარომ მიანდო შრომის ყველა საუბნო ინსპექტორებს გამოარკვიონ არტელებთა და მოიჯარადეთა რაოდენობა მათ უბნებში და აგრეთვე ცხადჰყონ იხდიან, თუ არა ეს უკანასკნელნი დასაზღვევ გადასახადებს.

— **რკ. გზ. ხაზი მუშებისათვის.** ა | კ. დამზღ. სალარომ დაავალა ამხ. **დიკს** შეიმუშავოს ინსტრუქცია საექიმო დახმარების მოსაგვარებლად რკ. გზ. ხაზების ყველა მუშებისათვის.

— **წმენდა.** ა | კ. რკ. გზ. დამზღ. სალარომ მიანდო საორგ. განყოფილებას და ამხ. **არაქელოვს** გამოიმუშავონ პენსიონერების წმენდის წესი თანახმად ს. ს. რ. კ. რკ. გზ. ცენ. დამზღ. სალაროს მიერ გამოგზავნილ საინფორმაციო ბარათისა.

— **ლენინაკანის უბნის რკინისგზელებისათვის.** ა | კ. ჯანმრთ. განყოფილებამ გაგზავნა სამი პატარა აფთიაქი, საექიმო დახმარებისათვის.

— **ნავთი პენსიონერებს.** თბ. საუბ. დამზღ. სალაროს დადგენილებით, ნავთი პენსიონერებს გაეცემათ არა პენსიის ხვედრ ნავთის ფულის დაჭერით, არამედ პირადი ფულის შეტანით და პენსიონერების მოთხოვნილებით.

— **ადგილკომის დამტკიცება.** თბ. საუბ. რკ. გზ. პროფკავშირმა დაამტკიცა სად. სადახლოს ადგილკომი.

— **უფასო ბილეთი გაზ. „მუშა"-სათვის.** თბ. საუბ. რკ. გზ. პროფკავშირმა მოსთხოვა ა | კ. რკ. გზ. პროფკავშირს, რათა ამ უკანასკნელმა აღძრას შუამდგომლობა ა | კ. რკ გზ. სამმართველოს წინაშე გაეცეს გაზ. „მუშა"სთვის ერთი უფასო სამგზავრო ბილეთი რკ. გზ. ხაზზე მუშაობის გასაშუქებლად.

ინფ. ა—ძე.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ.

(გაზ. „კომუნისტის" რედაქციას).

ალმ. საქ. პროკურატურა ამით გაცნობებთ, რომ მე-3-უბ. შრომის ინსპექტორს დაევალა კვლევა-ძიების მოხდენა მიხედვით იმ განცხადებისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტის" № 165-ში **სასტუმრო „ორიანტის" მუშა-მოსამსახურეთა მიერ ამავე სასტუმროს მოიჯარადრე მოქ. აბაშიძის შესახებ.**

ალმ. საქ. პროკურ. მაგიერი
ტატიშვილი.
მდივანი: **ჯორჯიკია.**

ჩვენი პროკურატურა მუშათა ინტერესებს მტკიცედ იცავს

(გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას).

გაზ. „კომუნისტის" № 118 მოთავსებულ წერილის გამო **(„როგორ დამსაჯეს მოძალადეებმა") მომხდარ კვლევა-ძიების მასალა გაეგზავნა ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებას. და ეცნობა, რომ საქმის გარჩევაზე დაესწრება პროკურატურის წარმომადგენელი.**

ალმ. საქ. პროკურორის მაგიერი
ტატიშვილი.
მდივანი **ჯორჯიკია.**

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

ამხ. კილასონიას და კალანდაძეს.

ჩვენ, ალექსანდრე ტარიელის ძე კილასონია და მელქისედეკ იესეს ძე კალანდაძე ვცხოვრობთ ქ. თბილისის მეთერთმეტე უბანში, პარკის ქუჩაზე, სახლი პეტრიაშვილისა № 21-ში, მე, ალექსანდრე კილასონია ვმსახურობ რკინის გზაზედ, ვღებულობ ყოველთვიურად **31 მანეთს და 75 კაპ.** ოჯახი ჩემი შესდგება ექვსი სულისაგან. მიჭირავს ერთი ნესტიანი ოთახი სივრცით 30 კვად. არშინი, ზედვე მიდგმული დერეფანით, რომელიც სამზარეულოს მაგიერობას მისრულებს, თუმცა იმაში არ არის არავითარი მოწყობილობა სამზარეულოსათვის. მე კი, მელქისედეკ კალანდაძე ამ ჟამად უმუშევრად ვარ, მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 30 კვად. არშ. სამზარეულო არ მაქვს, ოჯახი ჩემი შესდგება ხუთი სულისაგან.

გთხოვთ გვაცნობოთ,—რამდენი უნდა გადავიხადოთ სახლის ქირა თითეულმა ჩვენგანმა, ვის ვალდებულებას შეადგენს ნაგავის გატანა, ეზოს გასუფთავება, მეეზოვეს ფულის მიცემა, ეზოს ფანარის ანთება და წყლის ფულის შეკრება და ქალაქის ალმასკომში მიტანა. შეგვიძლია თუ არა ოთახები ჩვენ შევაკეთოდ და დახარჯული ფული სახლის პატრონს ბინის ქირიდან დაუჭიროთ?

პასუხი: თითოეულ კვადრატიულ არშინზე ამხ. კილასონია იხდის **ნახევარ კაპეიკს; სულ მთელ ოთახისას —სამ შაურს და დერეფნით სარგებლობისათვის ბინის ქირის ერთ პროცენტს.**

ამხ. კალანდაძე, როგორც უმუშევარი, ირიცხება გადამხდელთა პირველ კატეგორიაში და ყოველ კვადრატიულ არშინზე **იხდის 0,2 კაპ.** სულ კი მთელი **ოთახისას— 6 კაპეიკს, რაც შეეხება,—მეეზოვის შრომის ხელფასს, ნაგვის გატანას, ეზოს ფარნის ანთებას და** ეზოს გასუფთავებას, ყველა ეს საკითხები თავის საკუთარი ხარჯით უნდა მოაწესრიგოს თვით სახლის პატრონმა.

წყლის ფულს კი აგროვებს მდგმურებს შორის **„წყლის კომისია"**, რომელსაც თავის შემადგენლობიდან ირჩევენ თვით მდგმურები; აი ამ უკანასკნელმა უნდა შეიტანოს ქ. ალმასკომში წყლის ფული.

პროვინციის ქრონიკა

— **წყალსადენი ქუთაისში.** ქუთაისის სამაზრო ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ქუთ. ყოფილ საკრებულო ტაძრის კუთვნილი ძვირფასი ნივთების გაყიდვიდან შემოსული ფულის ქუთაისში წყალსადენის გაყვანის საქმეზე მოხმარების შესახებ.

— **გლეხთა სასახლე გორში.** გორის სამაზრო ალმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას შეაკეთოს ის შენობა, რომელშიაც განზრახულია გლეხთა სასახლის მოთავსება.

— **ალმასკომები ეხმარებიან სამხედრო ნაწილებს.** გორის სამაზრო ალმასკომმა შეიძინა პირველ ქართ. ლეგიონის საჭიროებისათვის 100 ანბანის წიგნი, 200 ფანქარი, 200 რვეული და სხვადასხვა ნივთები.

— **გზის გაკეთება ბახმაროსკენ.** უკვე დაიწყო დიდი შარა-გზის გაყვანა ხიდისთავი-ბახმაროს მიმართულებით.

— **საავადმყოფო ს. მარტყოფში.** ქ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება სოფ. მარტყოფში (გარეკახეთი) ხსნის საავადმყოფოს.

— **ვენერიული ამბულატორიები მაზრებში.** ჯანმრთელობის კომისარიატი რაჭის და გორის მაზრებში ხსნის ვენერიულ ამბულატორიებს.

— **სამკურნალო დახმარება მაზრებში.** ჯანმრთელობის კომისარიატმა შორაპნის, დუშეთის და ახალქალაქის მაზრებში გახსნა ახალი სამკურნალო პუნქტები.

— **საეკლესიო ქონების დაცვა.** ვინაიდან უკანასკნელ ხანებში გახშირდა შორაპნის მაზრაში ეკლესიების გაქურდვა, მაზრის ალმასკომმა დაავალა შორაპნის მაზრის მილიციას მიიღოს სათანადო ზომები ეკლესიებში ძვირფასი ქონების დასაცავათ.

— **ხელოვნური ხელფეხი—მაზრებში მყოფ ინვალიდებს.** ზუგდიდის სამაზრო გლეხკომმა განიზრახა შეიძინოს მაზრაში მყოფ ინვალიდებისათვის ხელოვნური ხელფეხი.

— **გლეხთა სახლი ზუგდიდში.** ზუგდიდის გლეხკომმა გადასწყვიტა ზუგდიდში მოაწყოს გლეხთა სახლი.

— **საქონლის ჭირი სამეგრელოში.** სამეგრელოში, განსაკუთრებით ზუგდიდში და ახალ სენაკში, გავრცელდა საქონლის ჭირი. ზუგდიდში ჭირი მუსრს ავლებს ღორს, ხოლო ახალ სენაკში ჭირი დარეულია უფრო მსხვილფეხა საქონელში.

— **საქონლის ასაცრელად.** ოზურგეთის საბეითლო ბაქტერიოლოგიურმა სადგურმა დაამზადა საქონლის ასაცრელი შრატი.

— **საქონლის ჭირი ახალქალაქში.** ახალქალაქის მაზრაში მძვინვარებს საქონლის ჭირი. ჭირი მოედო მსხვილფეხა საქონელს.

— **მისაბაძი მაგალითი.** ხონის გლეხკომმა განიზრახა მაზრაში გააფართოოს წითელი სასადილოების ქსელი და ამით ბოლო მოუღოს კერძო მედუქნეების ვაჭრობას, რომელნიც სიმთვრალის და სპეკულიაციის მეტს არას აკეთებენ.

— **ბორჯომის წყალსადენი.** დაიწყო ბორჯომის წყალსადენის შეკეთება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

პირობები

ს. ს. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის 1924-25 სასწავლო წელში.

1. წესები.

ს. ს. ს. რ. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისათვის 1924 წ.

სთვლის რა აუცილებლად გატარებულ იქმნას ს. ს. ს. რ. უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დროს კლასობრივი პრინციპი პროლეტარულ და მუშურ ელემენტების მიღებით, სახალხო განათლების კომისარიატი მომავალ 1924 | 25 სასწავლო წლისათვის იწყებს მიღების შემდეგ რიგს.

1) პირველ რიგში უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან უფასო ადგილებზე და გამოუცდელად მუშათა ფაკულტეტებზე კურს დამთავრებულნი.

2) ყველა დანარჩენი უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველნი აბარებენ გამოცდებს იმ საგნებში და იმ პროგრამების მიხედვით, რომლებიც უკვე შიღებულია თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებისა.

3) უფასო ადგილებზე მიიღებიან:

ა) ფიზიკურად მომუშავენი და მათი შვილები.

ბ) ულარიბესი გლეხები და მათი შვილები.

გ) განათლების მუშაკნი და მათი შვილები.

დ) პროფკავშირის წევრები და მათი შვილები, თუ საერთო ჯამი მათი თვიური შემოსავლისა არ აღემატება 35 მან.

ე) წითელ არმიელები (საკომანდო-შემადგენლობა, ადმინ. შემადგენლობა და პოლიტშემადგენლობა) და მათი შვილები, აგრეთვე არმიის და ფლოტის ინვალიდების შვილები.

4) თანახმად მე-3 პუნქტისა მუშათა ფაკულტეტებზე სწავლის დამთავრებულმა ჩარიცხვის შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში დარჩენილი თავისუფალი ვაკანსიები ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) კომუნისტურ პარტიის. 23 პროც.

ბ) ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის 15 პროც.

გ) ს. ს. პროფკავშირის 30 პროც.

დ) წითელ-არმიელების 2 პროც.

ე) ფასიანი 30 პროც. ამ ადგილებზე პირველ რიგში მიიღებიან: ა) რომლებიც ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების მიერ მივლინებულნი იყვნენ უფასო ადგილებზე, მაგრამ მიღებულ არ იქნენ, ბ) პროფკავშირის წევრები და მათი შვილები, რომელთა თვიური შემოსავლის საერთო ჯამი 35 მან. აღემატება; გ) დარჩენილ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ არა პროლეტარული ჩამომავლობის პირნი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას თანაუგრძნობდნენ და რომლებმაც ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს საბჭოების მოწინააღმდეგე ორგანიზაციებთან, რაც დადასტურებული უნდა იქნეს ადგილობრივი ალმასკომის მიერ.

5) მომავალ 1924 | 25 ს. წლისათვის დაწესებულია ფაკულტეტებზე შემდეგი კომპლექტი:

ა) სახელმწიფო უნივერსიტეტში:

ა) პედაგოგიურ ფაკულტეტზე—425 კაცი მათ შორის სიტყვიერების დარგზე—250 კაცი, ფიზიკო-მათემატიკურზე—100 და ქიმიო-ფარმაცევტიულზე—75.

ბ) საექიმოზე 100

გ) პოლიტეხნიკურზე 100

დ) აგრონომიულზე 175

ე) სოც. ეკონომიურზე 200; სულ 1000 კაცი.

ბ) ვ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.

ა) საინჟინერო 150.

ბ) სასოფლო-სამეურნეოზე 150; სულ 300 კაცი.

შენიშვნა: ვ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი დაიხურა.

6) მსმენელთა ჩარიცხვისათვის 1924 | 25 წელში შესდგება:

ა) ცენტრალური მიმღები კომიტეტი პროფგანათლების მთავარმმართველობასთან.

ბ) ადგილობრივ მიმღები კომისიები ყველა უმაღლეს სასწავლებლებთან. ეს კომისიები მოქმედებენ მათთვის განსაკუთრებულად დამუშავებულ დებულების მიხედვით.

7) უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველნი მიმართავენ თხოვნით იმ სასწავლებლების მიმღებ კომისიას, რომელ სასწავლებელშიაც სურთ შესვლა (ვინც მივლინებული არ არის), ანუ რომელშიაც ისინი მივლინებულნი არიან ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ. თხოვნაში უნდა აღინიშნოს შემდეგი ცნობები: ა) ფაკულტეტი, რომელზედაც შესვლა სურს მთხოვნელს, ბ) ფასიანი, თუ უფასო ვაკანსიის დაკავება სურს მთხოვნელს.

შენიშვნა: ის პირნი, რომლებიც განაცხადებენ ფასიან ადგილზე შესვლის სურვილს, სწავლის ფულის გადასახადისაგან არავითარ შემთხვევაში არ განთავისუფლდებიან.

3. ნაჩვენებ ცნობებს აუცილებლად თან დაერთვის დედანის წინა პარაგრაფების სახით და კანონიერად შემოწმებული ასლები ორ ცალად.

ა) წლოვანობის საბუთი (მეტრიკული მოწმობა, შრომის წიგნაკი და სხვა).

ბ) საბუთი სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულებაზე (მამაკაცებისათვის).

გ) საბუთი მუშათა ფაკულტეტის ანუ რომელიმე საშუალო სასწავლებლის სწავლა დამთავრების შესახებ.

დ) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

ე) მივლინების მოწმობა (მივლინებულთათვის).

ვ) ანკეტა თანდართულ ფორმის მიხედვით, ჯეროვანად შემოწმებული მივლინებულებისა სათანადოთ ორგანიზაციის მიერ, ხოლო დანარჩენებისა პარტიულ, პროფესიონალურ ან საბჭოთა ორგანიზაციების მიერ.

9. განცხადებათა მიღებას აწარმოებენ უმაღლეს სასწავლებელთა კანცელარიები 15 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე. განცხადებანი, რომელნიც აღნიშნულ ვადის შემდეგ შემოვლენ, არ განიხილებიან.

10. უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველნი, გარდა მუშათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისა, აბარებენ გამოცდებს იმ საგნებში და იმ პროგრამების მიხედვით, რომელსაც ყოველ თითოეულ ფაკულტეტისათვის ამტკიცებს პროფგანათლების მთავარმმართველობის გამგეობა.

შენიშვნა:] სამხატვრო-უმაღლეს პროფესიონალურ სასწავლებელში შემსვლელნი აბარებენ, გარდა ამისა, კიდევ განსაკუთრებულ გამოცდას, რომელსაც მიზნათ აქვს გამოარკვიოს შემსვლელის სამხატვრო ნიჭი და მომზადების ხარისხი ამა თუ იმ ხელოვნების დარგში.

11. გამოცდები ხდება 15-დან 25 სექტემბრამდე. ვინც ამ ვადაზე გამოცდებს არ ჩააბარებს, იგი ჰკარგავს უფლებას 1924 წელში უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას ამასთანავე არავითარ გამონაკლისს ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება.

12. ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ მუშათა ფაკულტეტი, გზავნიან თავიანთ საბუთებს, ანკეტებს და სხვას უმაღლეს სასწავლებლებში არა უგვიანეს 10 სექტემბრისა ვინც აღნიშნულ ვადაზე საბუთებს არ წარმოადგენს, იგი ჰკარგავს უფლებას შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში წინამდებარე აკადემიურ წელში.

13. მსმენელთა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას ახდენს ადგილობრივი მიმღები კომისია 25-დან 30 სექტემბრამდე.

შენიშვნა: ვინც გამოცდებს ვერ ჩააბარებს, თუ გინდ მივლინებაც ჰქონდეს, უმაღლეს სასწავლებლებში არ მიიღება.

14. საჩივარი ადგილობრივ მიმღებ კომისიაზე მიეცემა პროფგანათლების მთავარმმართველობასთან არსებულ ცენტრალურ მიმღებ კომისიას არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

15. ის პირნი, რომელნიც ჩარიცხულნი იქნებიან ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში და არ შეუდგებიან მუშაობას 10 ოქტომბრამდე, მექანიკურად გამორიცხულ იქნებიან სასწავლებლიდან, ხოლო ამნაირად განთავისუფლებულ ვაკანსიებზე მიიღებიან კანდიდატები.

2. მისაღებ გამოცდების შესახებ.

16. მისაღები გამოცდები სწარმოებს თანახმად 1924 წლის „მიღების წესების" მე-11 და მე-12 მუხლთა მოთხოვნისა.

17. პირობითი ჩარიცხვა იმ გალდებულე' ბით, რომ შემსვლელმა ჩააბაროს გამოცდები რომელიმე სხვა ვადაზე შემდეგში, დაუშვებელია.

18. გამოცდათა სხვადასხვაობას (კოლლოკვიუმებს, წერითი სამუშაოებს და სხვა) ადგენს გამომცდელი კომისია თანახმად პროფგანათლების მთავარმმართველობის მიერ მიცემულ ინსტრუქციისა და მიმღებ კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ.

19. გამოცდებს აწარმოებენ სათანადო გამომცდელი კომისიები მიმღებ კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ. გამომცდელ კომისიის პერსონალურ შემადგენლობას არკვევს პროფგანათლების მთავარმმართველობა.

20. გამოცდებს აწარმოებს გამომცდელი კომისია, თანახმად იმ სიებისა, რომელთაც უდგენს მას ადგილობრივი მიმღები კომისია. გამოცდების შედეგს თავისი დასკვნითურთ პირველი კომისია გადასცემს მეორეს.

3. უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა ჩარიცხვის წესის შესახებ.

21. ადგილობრივი მიმღები კომისია, მისდამი გამომცდელ კომისიის მიერ გადაცემულ მასალათა მიხედვით, ადგენს სტუდენტთა ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში სექტემბრის 25-დან 30-მდე.

22. ადგილობრივ მიმღებ კომისიებს კატეგორიულად აეკრძალება გადაამეტონ ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში ცენტრის მიერ განსაზღვრულ მისაღებ მსმენელთა რიცხვს, იშვიათ შემთხვევაში და პროფგანათლების მთავარმმართველობის განსაკუთრებულ ნებართვით შეიძლება თითო-ოროობით ამა თუ იმ სასწავლებელში განსაზღვრულ ნორმაზე ზედმეტათ მსმენელთა მიღება.

23. ოქტომბრის პირველისათვის უნდა გამოკიდულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლის თვალსაჩინო ალაგას მიღებულ მსმენელთა სია.

სახალხო განათლების კომისრის თანამდებობის აღმასრულებელი ე. მამულაიშვილი.
პროფგანათლების მთავარმმართველობის გამგე: მ. მეძმარიაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს ა. წ. 12 აგვისტოს საღამოს 5 ნახ. საათზე ქალაქის ალმასკომის დარბაზში შესდგება სადელეგატო კრება ქალთა ორგანიზატორების და დიასახლისების თანდასწრებით.

ყველას დასწრება სავალდებულოა. ვთხოვთ ყველას ნუ დაიგვიანებენ.

ქალთა განყოფილების გამგის მაგ. სუვერიევა.

ოთხშაბათს 15 იგვისტოს საღამოს 6 საათზე ქალაქის ალმასკომის დარბაზში შესდგება საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის სადელეგატო კრება იაჩეიკების მდივანთა თანდასწრებით.

დღის წესრიგი: 1) ამხ. ყურულოვის მოხსენება „ხელფასის შესახებ" და 2) განხილულ ანკეტების დამტკიცება.

პასუხისმგებელი მდივანი: გ. სტურუა.

ხუთშაბათს, 14 აგვისტოს დილის 9 საათზე თბ. კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფილებაში შესდგება სააგიტ.-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა.

დღის წესრიგი: 1) საზოგადოება „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობის შესახებ".

ვალდებული არიან დაესწრონ: რაიკომების სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილებათა გამგეები, თბილისის პოლიტ-განათლების სამმართველოს გამგე, თბ. კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, ახკომკავშირის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფ. გამგე, საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების გამგე და ქართული დივიზიის პოლიტიკ. სამდივნოს, პოლიტიკურ განყოფილების და პროლეტკულტის წარმომადგენლები.

თბ. კომიტეტის საავ.-საპ. განყ. გამგე: ელისაბედაშვილი.

— საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომელიც არ შესდგა 6 აგვისტოს, გადატანილია 13 აგვისტოს ოთხშაბათისათვის. სხდომა გაიმართება საღამოს 5 საათზე თბილისის კომიტეტის შენობაში.

წინადადება ეძლევა თბილისის კომიტეტის რაიკომების წევრებს და მსხვილ იაჩეიკების მდივნებს აუცილებლად გამოცხადდენ და ნუ დაიგვიანებენ.

საქართ. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ტფილისის კომიტეტის
მდივნის მოადგილე მისკინი.

განცხადებანი

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე გიორგი ვასილის ძე კვერნაძე შვილებით შალიკოთი და ვასიკოთი, დაი ნინო გიორგის ასული დარეჯანაშვილისა, ძმები დომენტი და ივანე გიორგის ძე არონიშიძეები, რძლები ანასტასია ნიკოლოზის ასული არონიშიძისა, ოლღა გიორგის ასული კვერნაძისა და ელისაბედ კონსტანტინეს ასული არონიშიძისა, მაზლი მათე ვასილის ძე კვერნაძე, ძმისწულები ოლიმპიადა და ანნა იაკინთეს ასული არონიშიძეები და დისწულები ალექსანდრა და თინიკო დარეჯანაშვილები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ა. წ. 10 აგვისტოს 2 დღის ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მარად საყვარელი

ელისაბედ გიორგის ასული
არონიშიძე-კვერნაძისა

გამოსვენება დღეს, 12 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე. საკუთარ სახლიდან კუტილოვის ქუჩა (ნავთლუღი, სამხედრო ჰოსპიტლის პირდაპირ) № 11. დასაფლავება პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში.

ს. კ. პ. გორის სამაზრო კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს—ამავე ორგანიზაციის წევრის

მიშა ივანეს-ძე
ურიგაშვილის

უდროვოთ დაკარგვას, რომლის დაკრძალვა მოხდება 12 აგვისტოს, დღის 1 საათზე სოფ. მეჯვრისხევში (გორის მაზრა).

უფ. 1—1

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას
კავშირის წევრის ლოტბარის და სახალხო მომღერალის

ძუკუ ლოლუას

გარდაცვალებას:
გამოსვენება მოხდება ქვაშვეთიდან აგვისტოს 13-ს 5 საათზე.
1684 1—1

მეუღლე დაშა, შვილები გულიადა და ირაკლი, დაი ნოტიო ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასი

ძუკუ ლოლუას

გარდაცვალებას.
გამოსვენება მოხდება ქვაშვეთიდან აგვისტოს 13 საღამოს 5 საათზე.
1689 1—1

სამშაბათი 12 აგვისტო
სახელმწ. კონსერვატ. დარბაზში
(გრიბოედოვის ქ. № 8)

უმაღლეს სამხედრო მუზეუმის უფროსის
ვ. ს. ტურჩანინოვის ლექცია,
რომელმაც დიდი ყურადღება მიიპყრო მოსკოვში და ლენინგრადში:

უახლოესი ომის
საშინელებანი ევროპაში

ლექციას თან ახლავს ახალი სურათები უცხოეთის ცხოვრებიდან.
დასაწყისი სად. 9 საათზე. 1—1

საქართველოს
კომპარტიის ცეკას
გამომცემლობათა
მთავარი კანტორა
და ექსპედიცია

ამით აცხადებენ, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა (გაზეთების გამოწერა, მათი მიუღებლობა, დაგვიანება, დაკლება ფულის გამოგზავნა და სხვა) გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს, „მიწის მუშა"-ს და სხვა გამოცემათა შესახებ უნდა სწარმოებდეს
უთუოდ გამომცემლობათა მთავარ კანტორის სახელზე
თბილისი რუსთაველის პრ. № 24 ტელეფ. № 10—49.
ცეკას გამომცემლობათა მთავარი კანტორა და ექსპედიცია.

სურამ-ხაშურ-ბორჯომის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. ქურდევანიძე

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 20 აგვისტოს დილით 10—12 საათზე ქ. ბორჯომის სახ. სასამართლოს შენობაში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება: 1) სახერხი ქარხანა სხვადასხვა სახმარი იარაღებით თავის გარბილის შენობით, 2) მუხის შენობით ორთვალიანი წისქვილის, ქვეშ მდებარე ორთავ საგნები უძრავ ადგილით თავის სარგებლობ-უფლება მოვალეობით, მდებარე ს. ახალდაბაში გორის მაზრა, ბორჯომის რაიონი, კუთვნილი ქ. თბილისში მცხოვრებლების ალექსანდრე და დავით ვლადიმერის ძე ჯაფარიძეებისა—ვასილ და ნადეჟდა შჩუკინების სასარგებლოთ მათი ვალის დასაკმაყოფილებლად 486,37 ჩერვონცის კვალობაზედ, თანახმად ქ. თბილისის მე-12 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა 27 მაისიდან ა. წ. № 703.

სახერხი ქარხანა შეფასებულია 1000 მან. და წისქვილი 800 მან.

საჯარო ვაჭრობის დღეს მყიდველებმა უნდა წარმოადგინონ კომუნალურ განყოფილებიდან მოწმობა, რომ მათ და მათ ცოლშვილს არავითარი უძრავი ქონება იმ ადგილას არა აქვთ რა.

უფ. 1—1.

ვაკეზე საალმშენებლო ამხანაგობა
„ბაღი ქალაქი" № 1
აცნობებს თავის წევრებს, რომ 13 აგვისტოს საღამოს 6 საათზე
ალმასკომის ზალაში დანიშნულია ამხანაგობის კრების გაგრძელება, ყველა წევრთათვის დასწრება სავალდებულოა.
1679 1—1

ზელის მომწერთა საყურადღებოთ
ვინც გაზ. „კომუნისტს" „მუშა"-ს და „მიწის მუშა"-ს
თავის დროზე ან სრულებით არ იღებს,
ვთხოვთ დაუყონებლივ აცნობოს მთავარ კანტორას.
რუსთაველის ქ. № 24. მეორე სართული ტელ. № 10—49. 5—1

თბილისის საბაჟო
აცხადებს, რომ 15 აგვისტოს, დილის 10 ს
××× დანიშნულია ×××
საჯარო ვაჭრობა
კონტრაბანდით შემოტანილ შემდეგი საქონლის გასასყიდათ: შევიოტი, ტყავი, აბრეშუმის და ბამბის ჩულქები, საგალანტერიო საგნები, პარფიუმერია და სხვ.
1408 2—1. საბაჟოს დროებითი მმართველი—კიკნაძე.

ექიმ სოკლეტის, გამერტენ შმიდტის და ბილის **კეფირი** გამოკვლევათა მიხედვით და პრაიერ იერუსალიმსკის და მენფელის ცდების თანახმად
ხელს უწყობს წონაში მატებას, ითვლება საუკეთესო საშვალებად სისხლნაკლულოვანების, კუჭის კატარის, ფილტვის ტუბერკულიოზის და საერთო სისუსტის დროს
მიმართეთ თქვენს ექიმს და ის დაგინიშნავთ კეფირის როგორი ნორმა უნდა დალიოთ თქვენი ჯანმრთელობის აღსადგენად.
მისამართი· ლორის-მელიქოვის ქ. № 6 ი. კორონას ლაბორატორია.
კავშირის წევრებს ეძლევათ განსაკუთრებული შეღავათი
განყოფილება ფუნიკულიორზე და აბასთუმანში
10—6 ნ. 1357

დაკარგა პირადობის მოწმობა, სარეგისტრაციო ბარათი და ამიერ-კავკასიის რკ. გზ. ვაგონთ მისაღები მოწმობა (нарид), გაცემული ალექსანდრე [illegible] სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგა საალრიცხვო წიგნა და პირადობის მოწმობა 29 თებერვლიდან № 377 მოცემული ორივე ახალხიზულის რაიალმასკომის მიერ ლავრენტი ივანეს ძე კეთულარიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

ტირაჟი—13,000
სტამბა „ზარია ვოსტოკის", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.